# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 11 აპრილი 1995 № 16 (154) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

21-ე ტური. 10 აპრილი

# ქინქლაძე მოწამლულიც საშიშია



**სამტრედია 3:1 ტორპედო**
**ბათუმი 0:0 კოლხეთი**
**მეტალურგი 1:0 დურუჯი**
**ივერია 1:2 ზუგდიდი**
**მარგვეთი 0:0 სამგურალი**
**დილა 0:0 საპოვნელა**
**გურია 0:1 კახეთი**
**შევარდენი 1:6 დინამო**

შევარდენი: სიდამონიძე, ე. ბერიშვილი (შილაკაძე 46), ბარქაია, გუჩუა, მესტუმრე, მაისურაძე, თოლორდავა, ლ. ბერიშვილი, გოგოლაძე (გოგობერიშვილი 46), კალმახელიძე, დათუაძე.
დინამო: ზოიძე (გვარამაძე 68), ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, ანჩაბაძე, ცქიტიშვილი, ჯამარაული, იაშვილი (დემეტრაძე 61), ქინქლაძე (მუჯირი 67), ყაველაშვილი.
0:1 იაშვილი (22), 0:2 ქინქლაძე (32 პ), 0:3 ყაველაშვილი (43), 0:4, 0:5, 0:6 ქინქლაძე (60, 65, 66), 1:6 თოლორდავა (81)
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

...ჩის წინ შვიდი დინამოელი: ..., მაჭავარიანი, დიდავა, ქი... იაშვილი, ჯამარაული. ...ღ ცქიტიშვილი რალაცისგან მო...იწამლნენ და სათუოც კი გახდა მათი თამაში „შევარდენთან". თანაქალაქელთა დერბი მეტად უინტერესო სანახავი გამოდგა მიუხედავად 7 გატანილი გოლისა. თამაში ნელ ტემპში, ხისტი ორთაბრძოლების გარეშე მიმდინარეობდა. მაგრამ რაც არ უნდა მოწამლო, ქინქლაძე მაინც ქინქლაძეა და გამოყენებული პენალტის შემდეგ მეორე ტაიმში 5 წუთში ზედიზედ სამი ულამაზესი გოლი გაიტანა. აქ დავით ყიფიანმა, რომელიც თაბაშირიანი ფეხის გამო თამაშს ტელეკომენტატორის ჯიხურიდან ადევნებდა თვალს, გამოცვალა ქინქლაძე და მაყურებელმაც დაშლა დაიწყო. შევარდნები მატჩის მიწურულს შეანუხა შელახულმა პრესტიჟმა და რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელებინა. თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება მათგან, მარცხენა ნახევარმცველის ლევან ბერიშვილისა. მატჩის ბოლოს თოლორდავამ ერთი ბურთი გაქვითა და იქვე ცარიელ კარში ისეთი გოლი ვერ გაიტანა, აცილება რომ უფრო ძნელი იყო.

მამუკა კვარაცხელია

ამასწინანდელისგან განსხვავებით, ამ ტურის შედეგები დროულად შევიტყვეთ, ამიტომაც მეორე გვერდზე დაბეჭდილ გათამაშების ცხრილს ყაველი გაუვიდა: პირველ გვერდზე უკვე გუნდების სადღეისო მდგომარეობას გთავაზობთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 21 | 18 | 1 | 2 | 59-18 | 55 |
| დინამო | 20 | 16 | 2 | 2 | 84-24 | 50 |
| კოლხეთი | 20 | 14 | 3 | 3 | 42-14 | 45 |
| ბათუმი | 21 | 11 | 5 | 5 | 49-28 | 38 |
| მეტალურგი | 21 | 10 | 6 | 5 | 32-22 | 36 |
| ტორპედო | 21 | 10 | 2 | 9 | 35-31 | 32 |
| დილა | 21 | 8 | 5 | 8 | 15-22 | 29 |
| ზუგდიდი | 21 | 8 | 3 | 10 | 38-37 | 27 |
| გურია | 21 | 7 | 5 | 9 | 32-50 | 26 |
| ივერია | 21 | 7 | 2 | 12 | 31-34 | 23 |
| შევარდენი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-30 | 23 |
| კახეთი | 21 | 5 | 7 | 9 | 25-36 | 22 |
| მარგვეთი | 21 | 5 | 5 | 11 | 15-40 | 20 |
| საპოვნელა | 21 | 5 | 3 | 13 | 24-52 | 18 |
| დურუჯი | 21 | 5 | 1 | 15 | 19-53 | 16 |
| სამგურალი | 21 | 2 | 5 | 14 | 19-50 | 11 |




პანათინაიკოსელი ჟარკო პასპალი და ოლიმპიაკოსელი პანაიოტის ფასულასი დღეს სარაგოსაში შეიბმებიან. მეორე წყვილია „რეალი" — „ლიმოჟი"

# მესხმა აკადემია გახსნა

მესამე თვეა, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კომპლექსს ახალი პატრონი ჰყავს — ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი ლეილა მესხი. ეს ფაქტი მხოლოდ ოფიციალური საბუთების ხელმოწერა-გაფორმებით როდი შემოიფარგლა: ლეილა მაშინვე შეუდგა კორტების კაპიტალურ შეკეთებას, რაც მეტად შრომატევადი საქმეა და, რაც მთავარია, აუცილებელი, ვინაიდან ექვსივე მოედანზე კარგა ხანია შესაცვლელი იყო საფარი, საამისო არცთუ ცოტა თანხა კი არავის ჰქონდა.

მართალია, მარტის ჭირვეულობამ გვარიანად შეაფერხა სამუშაოები, მაგრამ რემონტი პრაქტიკულად უკვე დასრულდა და კორტები მზადყოფნაშია.

შაბათს ოფიციალურად გაიხსნა „ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემია". თავიდან 6-დან 13 წლამდე ასაკის ასი ბავშვის მიღებას ვარაუდობდენ, მაგრამ მსურველი მეტი აღმოჩნდა.

სწავლა ფასიანია — ყოველთვიური გადასახადი 25 დოლარის ექვივალენტია კუპონებში. გადახდა გადარიცხვითაც შეიძლება, რაც არცთუ უმნიშვნელო დეტალია. ვინც თავს გამოიჩენს, გადასახადს აღარ გადაიხდის, საუკეთესოებს კი აკადემიის ხარჯზე გაამგზავრებენ უცხოეთის ტურნირებში სათამაშოდ.

საწვრთნელ პროცესს უხელმძღვანელებს თავად ლეილა მესხი, რომელსაც აკადემიის რვა აღმზრდელთან ერთად დიდი სამომავლო გეგმები დაუსახავს. ყველაფერი ეს, იმედია, ხელს შეუწყობს ჩოგბურთის აღმავლობას საქართველოში.



**გუშინ ვერის ბაღში** „გეორგიკამ" პირველად გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში
**დღეს სარაგოსაში** დაიწყება ევროპის საკლუბო ჩემპიონატის „ოთხთა ფინალი"
**ხვალ სპორტის სასახლეში** ექვსეული მეორე წრეს შეუდგება

XX ტური. 6, 7 აპრილი

### კახეთი 0:1 შევარდენი

კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, ცქიფურიშვილი, სოლოლაშვილი, ბაკურაძე, სირაძე, ლ. ხორხელი, კალუა, ბაბულაიძე, დოლიძე
შევარდენი 1906: აბუსერიძე, ე. ბერიშვილი, მჭედლიშვილი, გუჩუა, ჯელაძე, შილაკაძე, მაქაცარია, ლ.ბერიშვილი, გოგოლაძე, ფრიდონაშვილი (დათუაძე 82), შუბითიძე
0:1 ლ. ბერიშვილი (86)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### დურუჯი 0:3 ტორპედო

თბილისში

დურუჯი: ალავიძე, მოსიაშვილი (ბოჭორიშვილი 60), ვ. ხუბეჯიშვილი, ელოშვილი, ყანჩაშვილი, გეგეშიძე, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლვინიაშვილი
ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, თურმანიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, წიქარიშვილი (ჯინჭარაძე 80), კვეტენაძე, ხუნდაძე, ნოზაძე, გიორგობიანი, ვაჩიბერაძე
0:1 ხუნდაძე (10), 0:2 ნოზაძე (60), 0:3 ხუნდაძე (80)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

### საპოვნელა 2:1 მარგვეთი

საპოვნელა: ქათამაძე, კუხიანიძე, გენაძე, ჭელიძე, ხვარეშია, უკლება, ჯულელი, გურაბანიძე (ლილუაშვილი 46), გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა
მარგვეთი: გვენცაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, მაღლაკელიძე, ლონლაძე, კაციაშვილი, გაბრიჭიძე (ლანჩავა 86), სულაკაძე, ტონია, კიკნაძე (ჩხეტია 60), ენდელაძე
1:0 გოდერძიშვილი (10), 1:1 ენდელაძე (45), 2:1 ჭელიძე (89)
მსაჯი: მ. მალაღურიძე (თბილისი)

### ზუგდიდი 5:0 დილა

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი (აფაქიძე 62), ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ქაძანაია, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, გაბისონია, გაბედავა
დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე (მარეხაშვილი46), ჯ. გაგნიძე, თარხნიშვლი, გეგეჭკორი, ნკრიალაშვილი, ლომიძე, ფეზუაშვილი, ზურ. ხორგუაშვილი, რევაზიშვილი (ციცქიშვილი 46)
1:0 დარასელია (26), 2:0 დარასელია (35), 3:0 გაბისონია (68), 4:0 გაბედავა (84), გაბედავა (87)
მსაჯი: ო.გუნთაძე (ლანჩხუთი)

### მეტალურგი 4:1 ივერია

მეტალურგი: კორომშინაძე, ქველაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, ყაველაშვილი, გ.კილასონია, პერტია, ჩალაძე (ტარტარაშვილი 46), ალადაშვილი (კვარაცხელია 85)
ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, მალანია ლაცაბიძე (ჩადუნელი 56), ტყემალაძე (გლუნჩაძე 80), იობაშვილი, ჩიბაშვილი, მარღიშვილი, ქობულაშვილი, ნიკლაური
1:0 ვ. კილასონია, (58), 2:0 ვ. კილასონია (66), 3:0 ვ. კილასონია (79), 3:1 ქობულაშვილი (84), 4:1 გ. კილასონია (87)
გაფრთხილება: ლაცაბიძე, ჩიბაშვილი, ნეკერაშვილი, პერტია
მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

### სამგურალი 6:1 გურია

სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, თოდაძე (მუშკუდიანი 60), გ. ჯანელიძე, ვ. ფესტვენიძე (ქუთათელაძე 75), გ. ჩიხლაძე, ივანეიშვილი, იობიძე, ჯანაშია, აშვეთია, ჩხეტიანი
გურია: კუნჭულია (ნულაძე 46), კოროტკოვი, თევზაძე (ნოდია 70), კუკულაძე, ბუცურეიშვილი, ლორია, კვინტრაძე, ნარიაშვილი, განიევი, სიხარულიძე, ბურდული
1:0 გ. ჩიხლაძე (6), 2:0 აშვეთია (30), 3:0 ჯანაშია (40), 4:0 აშვეთია (60), 5:0 აშვეთია (62), 6:0 ჯანაშია (80), 6:1 კვინტრაძე (85)
გაფრთხილება: ვ. ფესტვენიძე,ბურდული
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

### დინამო 4:2 ბათუმი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, კალაძე (იაშვილი 46) ანჩაბაძე (პეტრიაშვილი 69), ცქიტიშვილი, ჯამარაული, დემეტრაძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი
ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ფუტკარაძე, (ბერიძე 72), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, კანტიძე, ამბიძე (მუჯირი 46)
0:1 ხომერიკი (24), 1:1 ყაველაშვილი (31), 1:2 ხომერიკი (57), 2:2 ყაველაშვილი (59), 3:2 ქინქლაძე (87 პ), 4:2 პეტრიაშვილი (90).
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### კოლხეთი 3:0 სამტრედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 20 | 17 | 1 | 2 | 56-17 | 52 |
| დინამო | 19 | 15 | 2 | 2 | 78-23 | 47 |
| კოლხეთი | 19 | 14 | 2 | 3 | 42-14 | 44 |
| ბათუმი | 20 | 11 | 4 | 5 | 49-28 | 37 |
| მეტალურგი | 20 | 9 | 6 | 5 | 31-22 | 33 |
| ტორპედო | 20 | 10 | 2 | 8 | 34-28 | 32 |
| დილა | 20 | 8 | 4 | 8 | 15-22 | 28 |
| გურია | 20 | 7 | 5 | 8 | 32-49 | 26 |
| ზუგდიდი | 20 | 7 | 3 | 10 | 36-36 | 24 |
| ივერია | 20 | 7 | 2 | 11 | 30-32 | 23 |
| შევარდენი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-24 | 23 |
| მარგვეთი | 20 | 5 | 4 | 11 | 15-40 | 19 |
| კახეთი | 20 | 4 | 7 | 9 | 24-36 | 19 |
| საპოვნელა | 20 | 5 | 2 | 13 | 24-52 | 17 |
| დურუჯი | 20 | 5 | 1 | 14 | 19-52 | 16 |
| სამგურალი | 20 | 2 | 4 | 14 | 19-50 | 10 |

# ვინ იქნება მეორე «ტენერიფე»?



ლევან ხომერიკის მეორე გოლი „დინამოს" კარში



თემურ ჩლაიძეს ნახევარმცველობაც ჩინებულად შესძლებია

„სამტრედიასთან" დამარცხებამ თბილისის „დინამო" რეალურად დააყენა უცვლელი ჰეგემონობის დამხობის საფრთხის წინაშე, აიძულა, მოეკრიბა უკანასკნელი ძალები და ყველა რეზერვი ჩაება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. დინამოელებს ახლა ოდნავი წაფორხილების საშუალებაც აღარ აქვთ, თერთმეტივე დარჩენილი თამაში აუცილებლად უნდა მოიგონ, მაგრამ ეს მაინც ვერ უშველით, თუ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო წლებში მომხდარი „ბარსელონა" — „რეალი" — „ტენერიფეს" ვარიანტი არ განმეორდა. ერთი „ტენერიფე" უკვე გამოჩნდა: ფოთის „კოლხეთმა" დიდი ანგარიშით სძლია სამტრედიელებს, რომელთაც მხოლოდ ხუთი დღე ილაღეს ისე, ზურგსუკან მეტოქის ქშენას რომ არ გრძნობდნენ. ფოთის მატჩის ბედი მხოლოდ მიწურულს გადაწყდა. მაშ ასე, ერთი „ტენერიფე" — „კოლხეთი 1913" უკვე გამოჩნდა, ვინ იქნება შემდეგი — „ბათუმი", „მეტალურგი"? ან იქნება კი? არაერთი შეცდომა, ახლანდე[ლ]იც და მანამდელიც, დინამოელებს ძვირად დაუჯდათ და მათი ბედი ამჟამად მათზე აღარ არის დამოკიდებული.

რამ ჩააგდო „დინამო" ასეთ დღეში? მიზეზი მრავალია: რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა, უძლეველობის ილუზია, საუკეთესო ფეხბურთელთა საზღვარგარეთ წასვლა და, რაც მთავარია, მწვრთნელთა ხშირი ცვლა. უდავოა, რომ ამ თვალსაზრისით მთელი პასუხისმგებლობა კლუბის ხელმძღვანელებს ეკისრებათ. განსაკუთრებით არია გუნდის სამზადისი უმწვრთნელობამ ზედ მეორე წრის დასაწყისში, როდესაც სერგო კუტივაძე, რომელმაც სამ საზღვარგარეთულ შეკრებაზე უხელმძღვანელა კლუბს, გუნდიდან წავიდა. ასეთ პირობებში [ი]მედის მატებელი სტარტი პრაქტიკულად გარანტირებული იყო და ალბათ შე[ს]ძლებლის შეძლებად უნდა მივიჩნოთ ის, რაც გუნდმა იმხანად ვაჟა ჟვანიას ხელმძღვანელობით გააკეთა: თასის ნახევარფინალიდან „სამტრედიის" დათხოვნა, საპასუხო თბილისურ მატჩში სამ[ტ]რედ[ი]ელთა აშკარად ჯობნა. ამგვარ ვით[არებაშ]ი [მ]ყოფი გუნდის სათავეში მოსვლას [ბ]ევრი ვერ გარისკავდა, და მაინც, გამო[ჩ]ნდა ასეთი კაცი — დავით ყიფიანმა კვლავ ჩაიბარა „დინამო". ეს, დაგვეთანხმებით, მართლაც სარისკო ნაბიჯია, რადგან ყიფიანმა მშვენივრად უწყის, რომ ახლა დიდია იმის შანსი, „დინამომ" ვერც თასი აიღოს, ჩემპიონობაც დაკარგოს და, როგორც ხდება ხოლმე, ყველა ჯოხი მთავარ მწვრთნელზე გატყდეს. და მაინც, ყიფიანმა ეს ნაბიჯი გადადგა, გადადგა... ყავარჯნების დახმარებით და, აშკარაა, რომ გუნდში დიდი, სამომავლო მიზნებით მივიდა. ჯერჯერობით კი ტაქტიკური გადაადგილებებისა და სხვა მცირეოდენი, კოსმეტიკური ცვლილებების გარდა „დინამოში" არაფერი შეცვლილა, რაშიც ბათუმელებთან თამაშმაც დაგვარწმუნა. ამ მცირე ხანში, რა თქმა უნდა, სხვა არც მოესწრებოდა. „დინამო" — „ბათუმის" უსახურ მატჩში პირადად ჩემთვის ორი ნათელი წერტილი იყო — ბათუმელი ლევან ხომერიკი და თბილისელი დავით პეტრიაშვილი. პირველი კარგა ხანს ავადმყოფობდა და მართლაც სასიხარულოა მისი მწყობრში ჩადგომა. 21 წლის ხომერიკი მისკენ გაგზავნილ ყველა ბურთს იღებდა, სასტარტო სისწრაფის წყალობით მეურვეებსაც მუდამ ასწრებდა, სახიფათოდაც ურტყამდა კარში და აკი ორი გოლიც გაიტანა. თექვსმეტი წლის პეტრიაშვილი ა[თ]ოციოდე წუთით გამოვიდა მოედანზე, მა[გ]რამ ძალიან ჟინიანად და, რაც მთავარია, თანაგუნდელებისგან განსხვავებით, არაერთფეროვნად უტევდა.

რაც შეეხება ბათუმელებს, მათ არც ისე კარგად ჰქონიათ საქმე, ყველას რომ ეგონა: მათი ფეშენებელური ავტობუსი, თბილისელ მაყურებელს თვალი რომ დაუყენა, ნათხოვარი ყოფილა, რადგან გუნდს თავისი „იკარუსი" გაფუჭებოდა. ბათუმელთა მწვრთნელის ვალერიან ჩხარტიშვილის თქმით, „ბათუმის" წლევანდელი მიზანი ოთხეულში მოხვედრა, თასის ფინალში გასვლა და ევროპაში გასასვლელი ადგილის დაბევება ყოფილა. გახდება თუ არა ბათუმი მეორე „ტენერიფე", 20 აპრილის მატჩი გვიჩვენებს.

როგორც არ უნდა დამთავრდეს ჩემპიონატი, რომელი ადგილიც არ უნდა დაიკავოს „სამტრედიამ", ერთი რამ ფაქტია: ამ გუნდმა უჩვეულოდ გაამძაფრა ჩემპიონატის სიუჟეტი. ღმერთმა ჰქნას, „სამტრედია" შემდგომაც ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდად მოგვევლინოს, სხვა გუნდებსაც ხელი გამოელოთ და ჩვენი უსახური პირველობა რამდენიმე მძაფრმა მატჩმა გაამდიდროს. ჩვენის შემყურეს, ძალაუნებურად, შოტლანდიის, ავსტრიის, დანიის, შვეიცარიის და სხვათა, ჩვენებრ პატარა საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატები მახსენდება, სადაც პირველობა ოთხ წრედ იმართება. ოთხი „დინამო" — „სამტრედია", „სამტრედია" — „კოლხეთი", „დინამო" — „კოლხეთი" და სხვა თამაშები, ვიფქრობ, ცოტა მაინც შეეშველება ნაკრებსაც და მაყურებელსაც. აქვე შეგახსენებთ ჩემპიონობის მაძიებელთა კალენდარს: „დინამო" უმასპინძლებს „გურიას", „დილას", „მეტალურგს", „საპოვნ[ე]ლას", „კახეთს". სტუმრად თამაშობს „კ[ოლ]ხეთთან", „შევარდენთან", „მარგვეთთან", „ივერიასთან", „ზუგდიდთან", „სამგურალთან". „სამტრედია" კი მასპინძლობს „ტორპედოს", „შევარდენს", „მარგვეთს", „ივერიას", „ზუგდიდს" და გასვლა უწევს „დურუჯთან", „ბათუმთან", „გურიასთან", „დილასთან", „მეტალურგთან". იქნებ ისეც მოხდეს, რომ ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურამდე გაირკვეს...

— ახლა სხვა გუნდებზე, უფრო სწორად, მათ გასაჭირზე. თელავში დავესწარი „კახეთ" — „შევარდენის" მატჩს, მანამდე კი ორივე გუნდის ხელმძღვანელებს ვესაუბრე. რაც თავი მახსოვს, „კახეთი" სულ უსახსრობას უჩივის. ოთხი წლის წინ, „კახეთი" მაშინაც დაშლის პირას რომ იყო, გუნდის ხელმძღვანელებს პრეფექტთან შევყევი, ვიფიქრე, ინტერვიუს ავიღებ, კაცს თავს დავაფასებინებ, იქნებ გუნდს რამეში წაადგეს-მეთქი. პრეფექტი „პახმელიაზე" დ[ახ]ვ[ედ]ა, ლუდი მოწ[ყ]უ[რ]ე[ბ]ულ[ი]ყ ... [illegible] „გამლებიოო", „დაიშალეთ" ... [illegible] თანაც, ცოტა დააკლდა, ზედ მა[ს]... [illegible] კაცური სამსართულიანიც რომ არ ... [illegible]. კრიტიკული წერილი რომ დავბეჭდეთ, მეორე დღესვე დაუბარებია „კახეთის" ხელმძღვანელები და იმ პერიოდისთვის გვარიანი თანხაც გადაურიცხავს, „ვინძლო, ჯერჯერობით გეყოთო". გუნდს ახლა იმ ამბის მომსწრე ყოფილი ფეხბურთელები ხელმძღვანელობენ, მერაბ ბიწკინაშვილი მენეჯერია, გოჩა [ბ]ოსტომაშვილი — თემურ მახარაძის წასვლის მერე — მთავარი მწვრთნელი. ახალი პრეზიდენტიც აურჩევიათ, ბანკ „იმპერატორის" პრეზიდენტი გოჩა მამაცაშვილი. ასეა თუ ისე, რა და როგორც არ უნდა მოხდეს, ვინც არ უნდა უდგეს სათავეში გუნდს, თუ რაიონის ხელმძღვანელობა არ დატრიალდა, ამ საქმისგან არაფერი გამოვა. ჰოდა, აკი ამბობენ, გამგებელი დავით სავანელი, რეგიონის ხელმძღვანელები ლევან თედიაშვილი და მედეა მეზვრიშვილი მზად არიან დაეხმარნონო. თელაველთა ამ გასაჭირმა ფერლანის „ნეფთჩის" მწვრთნელთან, სარქისიანთან ორიოდ წლის წინანდელი საუბარი გამახსენა. მაშინ იყო, რომ მითხრა, უზბეკეთის მთავრობამ ფეხბურთის გუნდებს ყველა გადასახადი მოუხსნა და ყველა რაიონის ხელმძღვანელობა გააფრთხილა: თუ გსურთ, ადგილებზე დარჩეთ, თქვენს რაიონებში ფეხბურთის გუნდებს მიხედეთ, თორემაო...

თელავიდან მაინც დაიმედებული მოვდიოდი, ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის სიტყვებმა, გასაკეთებელს ყოველგვარი რეკლამის გარეშე გავაკეთებო, იმედი ჩამისახა. ვნახოთ, ღმერთმა ჰქნას...

მატჩი კი საცოდაობა იყო. ლოგიკით იგი ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ თამაშის მიწურულს ლევან ბერიშვილის ტექნიკურად შესრულებულმა გოლმა სამი ქულა შევარდნებს არგუნა. სხვათა შორის, ჩემს გვერდით იჯდა თელაველთა მეკარე თემურ ჩლაიძე, რომელი[ც] ბათ[უმშ]ი, იმის გამო, რომ კაცი ჰკლებიათ, საყრდენ ნახევარმცველად უთამაშებიათ. ამას კი ისე უვაჟკაცია, ბათუმელთა გამთამაშებელი ამბიძე თამაშიდან გამოუთიშავს (იგი შეუცვლიათ კიდეც) და იმდენი „ჩაჭრა" [illegible] თებია, „ბათუმის" მწვანე მინდორი შავად [illegible] მაუწერავს. ამასობაში ... [illegible] გ... [illegible] ლტიც აულია და თელაველებს, მეტოქის ნახევარზე ერთხელაც რომ არ გადასულან, სენსაციურ ფრისთვის მიუღწევიათ.

რაც შეეხება „შევარდენს", იგი უკვე იქცა ფეხბურთელთა მეორე დიდ ექსპორტიორად „დინამოს" შემდეგ. უკრაინაში გადავიდნენ კვიტატიანი, ჭოლოკავა, ხვადაგიანი, დიმიტრიშვილი, რუსეთში [ბ]ედ[ი]გაძე, ავსტრიაში — ჯიქია, კვიპრო[სში] — ... ჩიხელაშვილი, მალე ძმები ბერიშ[ვილ]ები ... [illegible] ... არადა, ... [illegible] ... „შევარდე[ნ]ს", სვეწს ჩემპიონატში დღეს ... [illegible] ... კვებს რომ ვერ წყვეტს, ამდენი ფეხბ[ურ]თელი გაემგზავრა უცხოეთს და, როგორც შევიტყვეთ, იქ არცთუ ურიგოდ თამაშობენ. კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მალხაზ გუგავამ მითხრა, „შევარდენის" „მეწველი ძროხის" როლში ყოფნა დროებითია, კლუბი სულს მოითქვამს თუ არა, ისევ ეცდება საშინაო ჩემპიონატში ღირსეულად წარმოჩენას.

ბოლოს კი, ცხრილის ბოლოში მყოფ გუნდეზე, უფრო სწორად, მის მთავარ მწვრთნელზე სოსო ფრუიძეზეც მინდა გითხრათ ორი სიტყვა — ამ კაცმა, სადაც უმუშავია, ყველა გუნდს დაატყო თავისი ხელი. თუ ახლა, სამი თვის მისულმა წყალტუბოს „სამგურალიც" დატოვა უმაღლეს დივიზიონში, მაშინ უდაოდ „სასწაულმოქმედი სოსო" დაერქმევა. მის მიერ ქუთაისის „რწმენიდან" გადმოყვანილი 17 წლის მიხეილ აშვეთია კი, შესაძლოა, მეექვსე ეროვნული ჩემპიონატის აღმოჩენადაც იქცეს. თავად განსაჯეთ: მეორე ჯგუფის „რწმენაში" მიხეილმა ცხრა თამაშში ათი გოლი გაიტანა, „სამგურალში" კი — ხუთ მატჩში — ხუთი. თანაც, „ტორპედოს", „ბათუმის" და სამიც — „გურიას" კარში...

**მამუკა კვარაცხელია**

**გია ახალაძის**
ფოტოები





ელგუჯა სილაგავა: პირველმა ქართველმა მსაჯთაგან იმსაჯა ასი მატჩი ეროვნულ ჩემპიონატებში (1994 წლის 27 ოქტომბერს („სამგურალი" — „კახეთი"), სულ დღემდე 104 მატჩი. პირველი მატჩი არბიტრად — 31.03.90 „ქუთაისი" — „ოდიში".

თამაზ ლაცაბიძე: მეასე მატჩი იმსაჯა 1995 წლის 6 აპრილს „კახეთი" — „შევარდენი 1906". პირველი მატჩი — 31.03.90 „კოლხეთი" (ხობი) — „სამგურალი".

3-23 ივლისს ურუგვაიში „კოპა ამერიკას“ მორიგი გათამაშება გაიმართება. სამ ჯგუფად დაყოფილი 12 გუნდი ამერიკის ჩემპიონს გამოავლენს. ჯგუფების შემადგენლობა ასეთია: A: ურუგვაი, პარაგვაი, მექსიკა, ვენესუელა; B: ბრაზილია, კოლუმბია, პერუ, ეკვადორი; C: არგენტინა, ბოლივია, ჩილე, აშშ.

ივლისამდე შეძლებისდაგვარად ვეცდებით მკითხველისთვის მონაწილე გუნდების გაცნობას. დღეს „კოპა ამერიკის“ 1993 წლის გამარჯვებულ არგენტინის ნაკრებს წარმოგიდგენთ.



# დამწყები დიქტატორის ჩანაფიქრი

1998 წელს, საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშები სალამოობით გაიმართება. საფრანგეთი ხომ ევროპაა, რომელიც სატელევიზიო ეთერის დროს განსაზღვრავს და თუ შარშან ამერიკაში სწორედ ბებერი კონტინენტისთვის რეპორტაჟების მოხერხებული დროის შესარჩევად მატჩებს შუადღით, პაპანაქებაში ატარებდნენ, მომავალ პირველობაზე ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დინამიური და ათლეტური შეხვედრები გაჩაღდება. არგენტინის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს დანიელ პასარელას სწორედ ეს უნდა. „აშშ-ში ხვატმა გადამწყვეტი როლი ითამაშა — ამბობს ვარსკვლავყოფილი — მან ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზე მომართულ უკლებლივ ყველა გუნდს და მათ მწვრთნელებს ძირი გამოუთხარა. ფეხბურთელები მოედანზე იხლაზნებოდნენ. ერთადერთი, ვინც კონტინენტების ჩემპიონთა ტურნირმა ჩაუნერგა. მერე რა, რომ ამ შეჯიბრების ფინალში მისი ბიჭები დანიელებთან 0:2 დამარცხდნენ და ეს მისი მწვრთნელობისას პირველი წაგება იყო. მთავარია, რომ ახალწვეულებმა გაიბრწყინეს.

„ფეხბურთი ზუსტი მეცნიერება არ გახლავთ. იგი არ ჰგავს მათემატიკას, სადაც ორს მივუმატოთ ორი აუცილებლად ოთხია. ფეხბურთი მედიცინას უფრო მაგონებს. სასურველი შედეგისთვის სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა გაგრძელება გჭირდება, რაც პაციენტებზე ანუ მოთამაშეებზეა დამოკიდებული“ — ასეთია პასარელას აზრი. მისი თქმით, ყოველი მწვრთნელიდან, რაც მასში ფეხბურთელობის დროს იდგა, იგივე გადმოდინდება. იგი შეტევის ოსტატი მცველი იყო და ამიტომაც სურს, მისმა გუნდმა შეუტიოს, ოღონდ გოლის გაუშვებლად, ის კი არა, დაცვისას შეცდომაც არ დაუშვას. მისი სანუკვარი გუნდი ახალგაზრდა, აგრესიული და სხარტია. ოთხმა მცველმა ზონა უნდა ითამაშოს, სამი ნახევარმცველის წინ გამთამაშებელი იმოქმედებს, შუბის წვერად კი ორი ფორვარდი იქნება. ფეხბურთელები ერთმანეთს იმდენად შეჩვეულნი უნდა იყვნენ, რომ პოზიციათა გაცვლისას უმეთვალყუროდ არც ზონა უნდა დარჩეთ და ერთმანეთსაც არ გაებლანდონ ფეხებში. ხოლო რაც ყველაზე პასარელასეულია, გუნდს სწრაფად უნდა შეეძლოს ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომ მცველი წინ გაიჭრას და შუა მოედნის საჭირო მონაკვეთზე რიცხვმრავლობა შექმნას. ტრადიციული არგენტინული მოკლეპასებიანი გათამაშება, ცხადია, უცვლელი დარჩება. პროექტს, რომლის ძირითადი იდეებიც მოგახსენეთ, ავტორმა „ყველა არგენტინისთვის“ უწოდა. მის მიხედვით ქვეყნის ყველა მწვრთნელი კლუბებში უპირველესად ნაკრების ინტერესების გათვალისწინებით უნდა მუშაობდეს.

„მე უნდა გავხდე ინგლისური ყაიდის მწვრთნელი, რომელიც ფეხბურთელთა შერჩევისა და ტაქტიკის გარდა ადმინისტრაციულ საკითხებსაც გადაწყვეტს. არანაირი ვარსკვლავი და სახელოვან ლეგიონერთა გავლენა, ნაკრებში მთავარი მე ვარ და ყველა უნდა დამემორჩილოს.“ — ასეთია დანიელ პასარელას საბოლოო გადაწყვეტილება.

პრესინგს გემოზე თამაშობდა, ბრაზილია იყო, ისიც იმიტომ, რომ მათ საგანგებო ნიჭი აქვთ“. პასარელას გეგმით, როცა მისი გუნდი საფრანგეთის საგზურს მოიპოვებს (ეს კი მწვრთნელისთვის სათუო არ არის), საუკეთესო ფორმაშიც მაშინ შევა. ეს კი ამგვარად მოხდება: არგენტინელთა ახალი ხელმძღვანელი ეროვნულ ჩემპიონატს ყურადღებას ნაკრების თამაშებზე ნაკლებად როდი აქცევს. დიდოსტატურმა დაკვირვებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დღეს მისი ქვეყანა იმ სამს შორის არის, რომელსაც პლანეტის უნიჭიერესი თაობა ეზრდება. თავის ანუ არგენტინის მთავარი პედაგოგის მისიად კი იგი ამ ამომავალ ვარსკვლავთათვის სწორი გეზის მიცემას თვლის. თამაში თამაშად, მაგრამ ნაკრების ბედის უდიდესი პასუხისმგებლობაც აკისრია. მან სამშობლო მსოფლიოს უნდა წარუდგინოს, ამიტომაც ყველა, ვინც პასარელასეულ ნაკრებში მოხვდება, გარეგნულადაც ღირსეულად უნდა გამოიყურებოდეს და საკუთარ ჯანმრთელობასაც თვალყური უნდა ადევნოს. განვმარტოთ: კარგ იერსახეში უპირველესად შეკრეჭილი თმა იგულისხმება, სიმრთელეში კი დოპინგისა და სხვა შხამებისგან თავის შორს დაჭერა. მოკლე ვარცხნილობა ახალი მწვრთნელის უცნაური ახირებაა. სასეიროა, რომ ეს ახირება იმ ქვეყნის შვილს სჭირს, რომლის თანამემამულენიც მხრებამდე მოშვებულ თმას საგანგებოდ დალოლიავებენ. 18 თვე — ასეთია პასარელას დათქმული ვადა. თუ ამ ხანაში მისი „ახალი არგენტინა“ კარგ შედეგს ვერ მიაღწევს, იგი ძველ გვარდიას, კლაუდიო კანიჯას, ფერნანდო რედონდოს და მათ თაობას მიუბრუნდება, მაგრამ მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ასეთი უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა არ დასჭირდება. ეს რწმენა მაესტროს არგენტინელთა ამხანაგურმა თამაშებმა და საუდის არაბეთში ამასწინათ ჩატარებულმა

ილია ბაბუნაშვილი

16 ნოემბერი, 1994. პასარელას ნაკრების დებიუტი ბუენოს-აირესში ჩილესთან



## პასარელას ბიჭები:

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლოს ბოსიო | მეკარე | 01.12.73 | „ესტუდიანტესი“ |
| ხერმან ბურგოსი | მეკარე | 16.04.69 | „რივერ პლეიტი“ |
| ხუან პაბლო სორინი | მცველი | 05.05.76 | „არგენტინოს ხუნიორსი“ |
| ნელსონ ვივასი | მცველი | 18.10.69 | „ბოკა ხუნიორსი“ |
| როდოლფო არუაბარენა | მცველი | 20.07.75 | „ბოკა ხუნიორსი“ |
| ლუის მედერო | მცველი | 24.01.73 | „ბოკა ხუნიორსი“ |
| რობერტო აიალა | მცველი | 14.04.73 | „რივერ პლეიტი“ |
| პაბლო როტჩენი | მცველი | 23.04.73 | „ინდეპენდიენტე“ |
| ნესტორ ფაბრი | მცველი | 29.04.68 | „ბოკა ხუნიორსი“ |
| ხავიერ ძანეტი | მცველი | 10.08.73 | „ბანფილდი“ |
| კრისტიან ბასედასი | ნახევარმცველი | 16.12.73 | „ველეზ სარსფილდი“ |
| მარსელო ესკუდერო | ნახევარმცველი | 25.07.72 | „ნიუელზ ოლდ ბოიზი“ |
| მარსელო გალარდო | ნახევარმცველი | 18.01.76 | „რივერ პლეიტი“ |
| კრისტიან გონსალესი | ნახევარმცველი | 04.08.74 | „როსარიო სენტრალი“ |
| ხორხე ხიმენესი | ნახევარმცველი | 07.04.70 | „ბანფილდი“ |
| უგო პერესი | ნახევარმცველი | 06.10.68 | „ინდეპენდიენტე“ |
| გუსტავო ლოპესი | ნახევარმცველი | 13.04.73 | „ინდეპენდიენტე“ |
| მარსელო ესპინა | ნახევარმცველი | 28.04.67 | „პლატენსე“ |
| ლუის კარანცა | თავდამსხმელი | 15.06.72 | „ბოკა ხუნიორსი“ |
| ერნან კრესპო | თავდამსხმელი | 05.07.75 | „რივერ პლეიტი“ |
| ხოსე ფლორესი | თავდამსხმელი | 16.05.71 | „ველეზ სარსფილდი“ |
| სებასტიან რამბერტი | თავდამსხმელი | 30.01.74 | „ინდეპენდიენტე“ |
| არიელ ორტეგა | თავდამსხმელი | 04.03.74 | „რივერ პლეიტი“ |

„კოპა ამერიკაზე“ ამათ შეიძლება ლეგიონერებიც დაემატნონ: გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა), ხოსე შამოტი (ლაციო), დიეგო სიმეონე (ატლეტიკო), ფერნანდო რედონდო (რეალი), ხუან ესნაიდერი (სარაგოსა), აბელ ბალბო (რომა), როდოლფო კარდოსო (ფრაიბურგი), დიეგო ლატორე (ტენერიფე).

## არგენტინის ნაკრების თამაშები მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ

16 ნოემბერი, 1994. სანტ-იაგო.
ჩილე — არგენტინა 0:3
ბოსიო, ძანეტი, აიალა, ფაბრი, არუაბარენა, ესკუდერო (ვივასი 80), ბასედასი, ესპინა (გალარდო 73), ორტეგა (გარანცა 73), რამბერტი (ფლორესი 82)
გოლები: რამბერტი (7), ესპინა (23), ესკუდერო (79)

21 დეკემბერი, 1994. ბუენოს-აირესი.
არგენტინა — რუმინეთი 1:0
ბოსიო, ძანეტი, აიალა, ფაბრი, არუაბარენა, ესკუდერო (ფლორესი 68), უგო პერესი, ბასედასი, ესპინა (ლოპესი 57), ორტეგა (გალარდო 80), რამბერტი
გოლი: უგო პერესი (78)

27 დეკემბერი, 1994. ბუენოს-აირესი.
არგენტინა — იუგოსლავია 1:0
ბოსიო, ძანეტი, აიალა, ფაბრი, არუაბარენა, ესკუდერო, უგო პერესი, ბასედასი, ესპინა (ლოპესი 68), რამბერტი, ორტეგა
გოლი: რამბერტი (21)

8 იანვარი, 1995. ერ-რიადი.
არგენტინა — იაპონია 5:1
ბოსიო, ძანეტი, აიალა, ფაბრი, შამოტი, ესკუდერო (ლოპესი 55), უგო პერესი, ბასედასი, ორტეგა (გალარდო 67), ბატისტუტა, რამბერტი
გოლები: რამბერტი (32), ორტეგა (44), ბატისტუტა (47, 86 პ), შამოტი (54); მიურა (57)

10 იანვარი, 1995. ერ-რიადი.
არგენტინა — ნიგერია 0:0
ბოსიო, ძანეტი, ფაბრი, აიალა, შამოტი, უგო პერესი, ესკუდერო, ბასედასი, ორტეგა, რამბერტი, ბატისტუტა

13 იანვარი, 1995. ერ-რიადი.
არგენტინა — დანია 0:2
ბოსიო, ძანეტი, ფაბრი, აიალა, შამოტი, ხიმენესი (ლოპესი), ბასედასი, ესკუდერო, ორტეგა, რამბერტი (ესპინა), ბატისტუტა

14 თებერვალი, 1995. მენდოსა.
არგენტინა — ბულგარეთი 4:1
ბოსიო, ძანეტი, როტჩენი, აიალა, არუაბარენა (სორინი 71), მონსერატი, ხიმენესი, ბასედასი, გალარდო (გარნერო 60), ორტეგა (კრესპო 67), რამბერტი (სკელოტო 67)
გოლები: გალარდო (33, 36), იანკოვი (55, საკ. კარში), რამბერტი (65); სირაკოვი (51)

BEAU (15) MONDE

# სებასტიან რამბერტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაიბადა 1974 წლის 30 იანვარს ბუენოს-აირესში, ბერნალში.

სიმაღლე 185, წონა 74

კლუბი: „ინდეპენდიენტე“

მიღწევები: არგენტინის ჩემპიონი 1993-94, სამხრეთ ამერიკის სუპერთასი 1994

დებიუტი კლუბში: 1992 წლის 10 აპრილი

დებიუტი ნაკრებში: 1994 წლის 16 ნოემბერი

# კვიცი გვარზე ხტის!

სებასტიან რამბერტს სახელოვანი წინამორბედები არ აკლია, კლაუდიო კანიჯას და დანიელ ბერტონის დასახელებაც კმარა. არც ტიტულები აქვს ნაკლულად: არგენტინის ჩემპიონი, სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელი, მაგრამ ოცნების მწვერვალი 1998 წელს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებაა. წინაპართა სამშობლოში, ქვეყანაში, სადაც მამამისს 1964 წელს „ლიონში“ თასი მოუგია, დედამიწის უდიდეს შეჯიბრებაში გამარჯვება ხომ ისეთი სიხარულია, ფანტაზიაც ძლივს რომ იტევს. „ჩვენ, რამბერტები ცნობილი ხალხი არა ვართ“ — ამბობს სებასტიანი, ევროპიდან ახალ სამშობლოში მეცხრამეტე საუკუნეში გადასახლებული ბაბუის მამის ღირსეული ჩამომავალი, რომელიც, თუმცა მას ამ ექვსი თვის წინ საკუთრივ არგენტინაშიც კაციშვილი არ იცნობდა, მსოფლიოს თასზე ფიქრობს. ისე კი გასული წლის დასაწყისში თავად რამბერტიც ვერ წარმოიდგენდა, რომ საშობაოდ არგენტინის ერთ-ერთი მთავარი იმედი გახდებოდა. 21 წლის მოთამაშემ 19 შეხვედრაში 7 გოლის გატანით „ინდეპენდიენტეს“ ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო და შარშან აგვისტოში ეს ახალი წარმატება გუნდთან ერთად იზეიმა კიდეც, ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში „ინდეპენდიენტემ“ „ურაკანთან“ 4:0 მოიგო. სტუმართა კარი პირველმა ჩვენი „ბომონდის“ გმირმა დალაშქრა. ამ ამბიდან ორ თვეში, ნაკრების ახალმა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ ხალხის შეკრება რომ დაიწყო, რამბერტს პირველ დივიზიონში სულ რაღაც 35 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული. 12-ჯერ კი გოლი გაიტანა. პასარელას გუნდის პირველი გოლის გამტანი სწორედ სებასტიანი გახლდათ. ეს სანტიაგოში მოხდა, სადაც არგენტინამ ჩილე 3:0 დაამარცხა. ამომავალმა ვარსკვლავმა იანვარში ბევრი რამ ისწავლა, როდესაც გაბრიელ ბატისტუტას გვერდით, საუდის არაბეთში გამართულ კონტინენტების ჩემპიონთა ტურნირში ითამაშა. დანიელ ბერტონი კი მისი კერპია. მართალია, 1978 წელს, როდესაც ბერტონი ბრწყინავდა, იგი ოთხი წლის იყო, მაგრამ დიდოსტატის დაფასებაში ამას სებასტიანისთვის ხელი არ შეუშლია. კანიჯაზე კი ასე ამბობს: ის ფენომენალურია“.

სებასტიან რამბერტი ანხელ რამბერტის უმცროსი ვაჟია. ანხელი „ლიონის“ მოთამაშე გახლდათ და ორმაგი მოქალაქეობის წყალობით ფრანგთა ნაკრებშიც გამოდიოდა. შესარჩევ შეხვედრაში იუგოსლაველთა კარში გოლის გატანის შემდეგ მამა ანხელმა მუხლი დაიშავა და 1966 წლის მსოფლიო პირველობაზე ვეღარ ითამაშა. 1972 წელს 13-წლიანი საფეხბურთო კარიერის შემდეგ უფროსი რამბერტი არგენტინაში დაბრუნდა და ეს, ორი ქალიშვილის შემდეგ, რომელთაგან უმცროსი 10 წლისა გახლდათ, ვაჟის შეძენით აღნიშნა. არგენტინელი რამბერტების ფეხბურთის მოტრფიალე და მოთამაშე საგვარეულოში სებასტიანის გაჩენა დიდი მოვლენა იყო. მაშ რა იქნებოდა, როდესაც მამა ანხელის ოთხ ძმასა და ერთ დას ათი შვილი კი ჰყავდათ, მაგრამ ყველა ქალი იყო. საზღვარი არც ბიძის, ნესტორის სიხარულს ჰქონდა. ნესტორიც ფეხბურთელი იყო, „ინდეპენდიენტესა“ და „რასინგში“ თამაშობდა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სებასტიანის ტიტულებში ყველაზე ეშხიანი სამხრეთ ამერიკის სუპერთასი გახლდათ. „ზღაპრული რამ იყო სუპერთასის მოპოვება, იმ დღეებს სიკვდილამდე რა დამავიწყებს, ყველა გაგიჟდა. არგენტინის ჩემპიონობა ასე არ გაგვხარებია. სუპერთასის მოგება ყოფნა არყოფნის საკითხად, აკვიატებულ იდეად გვქონდა ქცეული“ — იგონებს მოთამაშე.

რამბერტთან ერთად „ინდეპენდიენტეში“ მისი ბავშობის მეგობარი, ცხრა თვით უფროსი, გამთამაშებელი გუსტავო ლოპესი თამაშობს. პასარელამ იგიც ნაკრებში აიყვანა. ბიჭებს უნებურად ბერტონისა და რიკარდო ბოჩინის წყვილს ადარებენ. ბოჩინი ბუენოს აირესიდან ჩრდილოეთით, მოშორებით ცხოვრობდა და ხშირად ბერტონებისას დარჩენა უწევდა. ასევა რამბერტიც. იგი ჭაბუკთა გუნდში თამაშისას სტადიონთან შედარებით ახლოს მცხოვრებ ლოპესებთან ათევდა ღამეს.

ახლა სხვასთან დასარჩენად ვეღარ იცლის. მამა ანხელ რამბერტი 1984 წელს კიბომ შეიწირა. ფეხბურთელი დედას — ნორმასა და დეიდას პატრონობს.

„ვერ დავივიწყებ ოჯახის ამაგს. მათ ყველა ღონე იხმარეს, რათა მე ფეხბურთელი გამოვსულიყავი“. — ამბობს სებასტიანი და ბერნალში სახლისკენ მიიჩქარის.

რამბერტის დებიუტი 1992 წლის აპრილში შედგა. „ველეზ სარსფილდთან“ გასვლით თამაშში (2:2) იგი ძმაკაცის, გუსტავო ლოპესის ნაცვლად შეიყვანეს. ორი წლის მანძილზე ფორვარდმა დიდს ვერას მიაღწია რა და თავად მოუხდა ჯანის გასამრთელებელი და წონის მოსამატებელი ვარჯიშების მიხედვა: სებასტიან რამბერტს კლუბში მუდმივი ადგილი მწვრთნელმა მიგელ ანხელ ბრინდისიმ დაუმკვიდრა. ახლა პასარელას ნაკრების მოთამაშეა, გუნდისა, რომელსაც დიდი მიზანი დაუსახავს...

პაპუნა ქედია

# იტალია

## გესქოინი ხოტორა დაგვიბრუნდა

26-ე ტური. 9 აპრილი

### იუვენტუსი 1:2 ტორინო

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, ტორიჩელი (55 მაროკი), კარერა (71 დი ლივიო), კოლერი, პაულუ სოუზა, დეშამი, კონტე, დელ პიერო, რ.ბაჯო, რავანელი.
ტორინო: პასტინე, ანგლომა, პესოტო, ფალკონე (80 ლორენცინი), პელეგრინი, მალტალიატი, სოლიანო, შიენცა, რიციტელი, პელე, კრისტალინი.
43 791 მაყურებელი

212-ე ტურინული დერბი ლიდერის მოულოდნელი მარცხით დამთავრდა. ეს „ტორინოს" 74-ე გამარჯვება იყო თანაქალაქელ მეტოქესთან, 56 მატჩი ფრედ მორჩა, 82-ჯერ კი „იუვენტუსმა" მოიგო. ამ კვირამდე პერუცის კარის აღება 709 წუთის განმავლობაში ვერავინ შეძლო, რუჯერო რიციტელის კი ამისთვის სულ ექვსი წუთი დასჭირდა. ლიდერი, ვისაც დორტმუნდთან ტრავმირებული ვიალი აკლდა, ერთობ უფხოდ უტევდა და რომ არა „ტორინოს" მცველი რობერტო მალტალიატი, ანგარიშის გახსნა გაუჭირდებოდა: 22-ე წუთზე ბაჯომ მარცხნიდან ჩააწოდა ბურთი მეტოქის საჯარიმოში, აქ მალტალიატიმ კოლერს დაასწრო და მუხლით საკუთარ მეკარეს გაუტანა, თუმცა 1:1 დიდხანს არ შერჩა. 33-ე წუთზე ფრანგი ანგლომას ჩაკიდული ბურთი იგივე რიციტელიმ თავით პერუცის კარში გადააგზავნა და სეზონში თავის მე-12 გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში „ტორინოს" უფრო შეეძლო ანგარიშის გაზრდა, ვიდრე „იუვენტუსს" — გაქვითვა, მაგრამ რიციტელიმ დაინდო თანაქალაქელები, მსაჯი კი დაუნდობელი აღმოჩნდა უხეშობის მიმართ: 64-ე წუთზე სოუზა, 87-ეზე კი სოლიანო გააძევა.

წაგების მიუხედავად, გასულ კვირას „იუვენტუსის" სახელი კიდევ ერთხელ ჩაიწერა ისტორიაში: ამ კლუბის ახალგაზრდულმა გუნდმა, რომელსაც ანტონელო კუკურედუ წვრთნის ქვეყნის თასის ფინალის მეორე მატჩიც მოუგო ბარელ თანატოლებს 1:0 და თასს დაეუფლა.

### პარმა 2:3 მილანი

პარმა: ბუჩი, ბენაროვო, დი კიარა, მინოტი, კასტელინი (70 კრიპა), კოუტუ, პინი (70 ბრანკა), დ. ბაჯო, ფიორე, ძო[illegible] ასპრილია.
[illegible] ლანი: როსი [illegible] [illegible] დესაი (71 ტასოტი), ლენტინი, სავიჩევიჩი (64 გალი), სიმონე.
[illegible] 446 მაყურებელი

„მილანმა" ოთხშაბათს ჩემპიონთა თასზე თავის მესე მატჩში წარმატების შემდეგ არც „პარმას" დაანება ქულები. ჯანლუიჯი ლენტინი დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველად გამოვიდა მოედანზე და უკვე მე-3 წუთზე „დებიუტი" გოლით აღნიშნა, როცა სიმონეს პასი გამოიყენა. ათ წუთში თავად სიმონემ იხეირა: პარმელთა საჯარიმოში პანუჩი მოცელეს და სიმონემაც პენალტი უზადოდ შეასრულა. პანუჩი „ბრალიანი" გამოდგა მეორე პენალტშიც, რომელიც უკვე სტუმართა კარში დაინიშნა — 41-ე წუთზე მან ხელით აართვა ბურთი დასარტყმელად გამზადებულ კოუტუს. ძოლა სიმონეს არ ჩამორჩა — 1:2. მეორე ტაიმში ჩემპიონი კვლავ ორი ბურთით დაწინაურდა — სავიჩევიჩმა იარა, იარა, მეკარეს ჩათვლით ყველა მოატყუა, ბოლო დარტყმა კი სიმონეს გადაულოცა. ეს 52-ე წუთზე მოხდა, ათ წუთში კი მსაჯმა ჩათვალა, რომ „მილანის" კაპიტანმა ბარეზიმ განზრახ ითამაშა ხელით (ვიდეოფირმა დაადასტურა, რომ ფრანკოს მხარში მოხვდა ბურთი) და დამსახურებული ვეტერანი მოედნიდან მიაბრძანა, რამაც მასპინძლებს ერთიორად შეუმსუბუქა საქმე. ძოლამ 83-ე წუთზე კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი შეაგდო, დარჩენილ წუთებში კი როსის საჯარიმო ჯოჯოხეთს დაემსგავსა, მაგრამ უკაპიტნოდ დარჩენილმა „მილანმა" მაინც გაძლო.

### სამპდორია 2:1 კრემონეზე

სამპდორია: ძენგა, მანინი, სალსანო, ვერხოვოდი (52 საკეტი), მიხაილოვიჩი (74 ბელუჩი), ლომბარდო, იუგოვიჩი, პლატი, მანჩინი, მასპერო.
კრემონეზე: ტურჩი, გარსია, მილანეზე, პედრონი, დალ ინია, ვერდელი, ფერარონი, ჯანდებიაჯი, კიეზა, ს. დე აგოსტინი, ფლორიანჩიჩი (85 ტენტონი).
30 000 მაყურებელი

გენუელები, ისევე როგორც ლონდონში, ახლაც 26 წლის ვლადიმირ იუგოვიჩმა იხსნა: მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გამარჯვების გოლი შეაგდო და გამოისყიდა „დანაშაული", რომელიც 54-ე წუთზე ჩაიდინა — საკუთარ საჯარიმოში უხეშად ითამაშა და კიეზას პენალტით ანგარიში გაათანაბრებინა, პირველი გოლი კი რობერტო მანჩინიმ მე-13 წუთზე გაიტანა.

### ბრეშია 1:3 პადოვა

ბრეშია: ბალოტა, ჯუნტა, ბარონკელი, ბონომეტი, ფრანჩინი, ბონეტი, გალო, პიოვანელი, სკენარდი (51 ბერნარდი), კორინი (73 მეცანოტი), ნერი.
პადოვა: ბონაიუტი, ბალერი, გაბრიელი, ფრანჩესკეტი, როზა (59 პერონე), ლალასი, კრეეკი, ძორატო, გალდერიზი (71 სერვიდეი), ლონგი, მანიერო.
8 282 მაყურებელი

აქამდე „პადოვა" სტუმრად მხოლოდ „ბარის" მოერია, კვირას კი წყალწაღებული „ბრეშია" მიაყოლა. სტუმრები მეოთხე წუთზევე დაწინაურდნენ: ჰოლანდიელმა კრეეკმა კუთხური ჩამოაწოდა, ბალოტა ასცდა ბურთს, რომელიც მეკარის საჯარიმოში მყოფ თითქმის ყველა ფეხბურთელს მოხვდა და კარში შეგორდა. რის ვაი-ვაგლახით დადგინდა, რომ ბურთი ბოლოს 32 წლის ჯუზეპე გალდერიზის ფეხს შეხებია. იქვე მასპინძლებმა ერთი გაიფართხალეს და კორინიმ ანგარიში გაქვითა, მაგრამ „პადოვა" ის ხავსი არ აღმოჩნდა, ხელის მოსაკიდებლად რომ გამოდგება. 65-ე წუთზე მანიერომ ლალასის თაურ პასს თაურითვე გაგრძელება მოუნახა, 84-ეზე კი კრეეკმა საბოლოო წერტილი დასვა.

### ინტერი 2:0 ჯენოა

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, ფონტოლანი, ორლანდო, ფესტა, ბია, სენო, იონკი, დელვეკიო (85 ორლანდინი), ბერხკამპი, დელ ანო (57 სოსა).
ჯენოა: მიჩილო, ტორენტე, კარიკოლა, დელი კარი, გალანტე, მარკოლინი, რუოტოლო (76 ჩოჩი), ბორტოლაცი, ვან სხიპი, სკუპრავი (67 მიურა), მანიკონე.
35 902 მაყურებელი

„სერია A"-ს ისტორიაში ეს გუნდები მეორმოცედ შეხვდნენ ერთმანეთს და აქამდე „ჯენოას" მხოლოდ ოთხჯერ მოუხერხებია „ინტერის" დამარცხება. მასპინძლებმა კი კვირას 29-ე გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში. პირველი გოლი 29-ე წუთზე გავიდა, როცა იონკისა და ბერხკამპის კომბინაცია დაამთავრა მარკო დელვეკიომ, ვინც პარასკევს 22 წლისა გახდა. მეორე გოლი კი შეცვლაზე შესულმა ურუგვაელმა რუბენ სოსამ შეაგდო — ოთხი კაცი მოატყუა და ცაციათი აუღებელი დაარტყა.

### ბარი 2:2 ფიორენტინა

ბარი: ფონტანა, მონტანარი, პ. ანონი, მანიგეტი, მანგონე, რიჩი, გაუტიერი, პედონე, ტოვალიერი, ყერსონი, პროტი [illegible]
[illegible] ტოლდო, კარნაშალი, ლუპი (65 კამპოლო), კოისი (46 ამერინი), მარსიუ სანტუში, მალუში, ა. კარბონე, დი მაურო, ფლაკი, რუი კოშტა, ბაიანო.
20 811 მაყურებელი

ბატისტუტას არყოფნაში „ფიორენტინამ პენალტის რიგიანად შემსრულებელიც ვერ იშოვა და რუი კოშტას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ბაიანომ ააცილა. 22-ე წუთზე სტუმართა ბრაზილიელ მარსიუ სანტუშს ისე შეეშინდა, ბურთი ტოვალიერს არ მიუვიდესო, ახტა და 17 მეტრიდან თავით... საკუთარ კარში გოლი გაიტანა. ათ წუთში იგორ პროტიმ მაკრატელათი ორამდე გაზარდა ანგარიში, მაგრამ სამი ქულა მასპინძლებმა მაინც ვერ ჩაიჯიბეს: კარნაშალიმ 41-ე წუთზე და კარბონემ 76-ეზე შეძლეს ფონტანას კარის აღება. გუნდები თამაშს ათ-ათი კაცით ამთავრებდნენ — მსაჯმა მანიგეტი (62) და მალუში (82) ვადაზე ადრე გაუშვა გასახდელში.

### ლაციო 2:0 რეჯანა

ლაციო: მარკეჯანი, ბაჩი (72 ბონომი), ნესტა, და მატეო, ნეგრო, შამოტი, რამბაუდი, ვენტურინი, ბოკშიჩი, გესქოინი, კაზირაგი (55 სინიორი).
რეჯანა: ანტონიოლი, კერუბინი გამბარო, დე ნაპოლი, გრეგუჩი, ლ. დე აგოსტინი, ფალკო (59 რუი აგუაში), ოლისე, ტარიბელო (76 პარლატო), ფუტრე, სკარბოსა.
46 372 მაყურებელი

მთავარი მოვლენა ინგლისელი პოლ გესქოინის დაბრუნება იყო. 14 კილოგრამდაკლებულ და თავგადაპარსულ ვარსკვლავს ბოლოსდაბოლოს მოურჩენია ტრავმა და როგორც კვირის მატჩმა დაგვანახა, ჩვეულ ფორმაში მალე შევა. გოლები რამბაუდიმ (53) და სინიორიმ (75) გაიტანეს.

### კალიარი 2:1 ფოჯა

კალიარი: ფიორი, ვილა, პუშედუ, ერერა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, ბერეტა, ვალდესი, ალეგრი (87 სანა), ოლივეირა.
ფოჯა: მანჩინი, პადალინო, ბუკარო, დი ბარი, შიაკა (81 მარაცინა), ნიკოლი, ბრეშიანი, ბრესანი (46 ჯაკობი), კაპელინი, დე ვინჩენცო, მანდელი.
18 000 მაყურებელი

ტურებს შორის „კალიარიმ" აქტიური დასვენება ირჩია და ოთშაბათს იტალიის შეიარაღებულ ძალთა ნაკრებს ეთამაშა. საინტერესოა, რომ სამხედროებს სარდინიელებმა 2:1 მოუგეს და გოლები პუშედუმ და დელი ვალდესმა გაიტანეს. რეპეტიცია



რუჯერო რიციტელიმ („ტორინო") ლიდერს ორი გოლი გაუტანა

ჩინებული აღმოჩნდა, ვინაიდან კვირას „ფოჯაც" ასევე დამარცხდა და გოლებიც ისევ პუშედუმ (10) და ვალდესმა (66) მიითვალეს. ამათ შორის კაპელინიმ (64) ერთი გოლი გაქვითა.

### ნაპოლი 0:0 რომა

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო, ბორდინი, კანავარო, კრუსი, ბუზო, რინკონი, აგოსტინი, ბ. კარბონე, პეკ[illegible]
რომა: ჩერვონე, ალდაირი, ლანა, ტერნი, პეტრუცი, პიაჩენტინი, მორიერო, კაპიოლი, ბალბო, ჯანინი, ტოტი.
40 000 მაყურებელი

ამ თამაშში არც გოლი ყოფილა, არც შეცვლა, არც გაფრთხილება, არც გაძევება და ა.შ. ყველაზე ღირშესანიშნავი მომენტი ბალბოს ჩაუთვლელი გოლი იყო.

**ზურაბ მეძველია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 42-22 | 58 |
| პარმა | 26 | 14 | 7 | 5 | 42-25 | 49 |
| რომა | 26 | 12 | 9 | 5 | 31-18 | 45 |
| მილანი | 26 | 12 | 9 | 5 | 37-25 | 45 |
| ლაციო | 26 | 13 | 5 | 8 | 57-31 | 44 |
| ინტერი | 26 | 11 | 8 | 7 | 27-20 | 41 |
| ფიორენტინა | 26 | 10 | 10 | 6 | 46-39 | 40 |
| ტორინო | 26 | 11 | 6 | 9 | 33-31 | 39 |
| სამპდორია | 26 | 10 | 8 | 8 | 40-28 | 38 |
| კალიარი | 26 | 10 | 8 | 8 | 30-29 | 38 |
| ნაპოლი | 26 | 8 | 11 | 7 | 31-35 | 35 |
| ბარი | 26 | 9 | 5 | 12 | 28-35 | 32 |
| პადოვა | 26 | 9 | 2 | 15 | 29-50 | 29 |
| ფოჯა | 26 | 7 | 7 | 12 | 26-37 | 28 |
| ჯენოა | 26 | 7 | 7 | 12 | 25-38 | 28 |
| კრემონეზე | 26 | 7 | 5 | 14 | 21-29 | 26 |
| რეჯანა | 26 | 3 | 5 | 18 | 17-36 | 14 |
| ბრეშია | 26 | 2 | 6 | 18 | 14-48 | 12 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 20
აბელ ბალბო (რომა) — 16
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 15
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 15
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 14
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 13
მარკო სიმონე (მილანი) — 13
რუჯერო რიციტელი (ტორინო) — 12

„სერია B"-ში 29-ე ტური შედგა. მოულოდნელად გაუჭირდათ ლიდერებს: „პიაჩენცამ" შინ 1:0 მოუგო ბოლოდან მეორე „კომოს", „უდინეზემ" კი 3:2 ბოლო ადგილზე მყოფ „ლეჩეს". დანარჩენი მატჩებიდან გამოვყოფთ: ანკონა — ასკოლი 1:1, ვიჩენცა — ატალანტა 4:0, ლუჩეზა — ვერონა 0:1, პერუჯა — ვენეცია 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 29 | 16 | 12 | 1 | 48-17 | 60 |
| უდინეზე | 29 | 13 | 12 | 4 | 47-28 | 51 |
| სალერნიტანია | 29 | 14 | 7 | 8 | 45-33 | 49 |
| ვიჩენცა | 29 | 11 | 15 | 3 | 28-15 | 48 |
| ანკონა | 29 | 12 | 9 | 8 | 41-36 | 45 |
| ატალანტა | 29 | 10 | 13 | 6 | 32-31 | 43 |
| ჩეზენა | 29 | 10 | 12 | 7 | 33-27 | 42 |
| პერუჯა | 29 | 9 | 14 | 6 | 29-23 | 41 |
| ვერონა | 29 | 9 | 13 | 7 | 32-28 | 40 |
| პალერმო | 29 | 9 | 11 | 9 | 26-19 | 38 |

# ესპანეთი

XXVIII ტური. 8 აპრილი. ბეტისი — ატლეტიკო 2:0. 9 აპრილი. რეალი — სარაგოსა 3:0, ვალიადოლიდი — ოვიედო 2:1, ლა კორუნია — ტენერიფე 4:1, სელტა — ვალენსია 0:0, ალბასეტე — ესპანიოლი 1:1, ლოგრონიესი — კომპოსტელა 0:4, ატლეტიკი — რასინგი 2:0, სპორტინგი — სევილია 3:0, ბარსელონა — სოსიედადი 1:1.

## კუმანმა ფეხი გამოყო...



ბებეტომ წინა ტურის გმირი ხოსე მარია ბულიუბაშიჩი სამჯერ გაამწარა

ტური შაბათს მადრიდის „ატლეტიკოს" ზედიზედ მეორე მარცხით დაიწყო. უფერული და უშნო თამაში მე-60 წუთამდე გაგრძელდა, აქ კი კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი „ატლეტიკოს" საჯარიმოს კუთხესთან მდგარმა „ბეტისის" 23 წლის მცველმა ლუის მარკესმა შეუჩერებლად ისე დაარტყა კარში, ვან ბასტენს გაუჭირდებოდა. კიდევ 11 წუთში ალექსისმა პენალტი გამოიყენა და ხილის გუნდი ისევ აუტსაიდერთა ჯგუფში ჩააბრუნა. მარკესის ბრწყინვალე გოლი ესპანეთის ტელევიზიამ ტურის გოლად მონათლა, ტურის გმირად კი ბრაზილიელი ბებეტო გამოცხადდა. ალბათ გახსოვთ, წინა ტურის მიმოხილვისას „ტენერიფეს" არგენტინელი მეკარის ხოსე მარია ბულიუბაშიჩის საგმირო საქმეებზე გიამბეთ. კვირას იგი პირველი წუთიდანვე იცავდა კუნძულელთა კარს და ამან ისე იმოქმედა ბებეტოზე, როგორც ხარზე წითელ ფერმა. ბრაზილიელმა სამჯერ აიღო არგენტინელის კარი, აქედან მესამე გოლი სწორედ... ბულიუბაშიჩის პასით. ბებეტოს ბოლოს ფრანიც დაეხმარა და საქმე „ტენერიფეს" განადგურებით დამთავრდა. დიდი ანგარიშით მოიგო „რეალმაც". ივან სამორანო საუკეთესო იყო გუნდში იმის მიუხედავადაც, რომ პენალტი ააცილა. ამ დროისთვის ანგარიში უკვე 1:0 იყო: 21-ე წუთზე სამორანომ თავით დაუგდო ბურთი რაულს და ამანაც არ დააყოვნა. მერე ჩილელს რამდენიმე საგოლ[illegible] [illegible]ნტი გაუფუჭდა, მაგრამ 78-ე წუთ[illegible] [illegible] რაგოსელთა მცველმა „შეიცოდა" — ამაგი წყალში არ გადაეყაროსო და ზუსტი პასით საკუთარ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა — 2:0. გახარებული სამორანო ვალდანომ იქვე გამოცვალა და მის მაგივრად თამაშში დუბოვსკი შეუშვა. ამან ბურთი პირველივე მიღებისთანავე გაისწორა და ძლიერი დარტყმით ცხრიანში გაახვია. „რეალი" გეგმაზომიერად მიიწევს წინ და ალბათ, შეწყვეტავს კიდეც „ბარსელონას" ოთხწლიან ჰეგემონიას. კრუიფის გუნდის მატჩი ტრადიციულად ლაზათიანი და კურიოზებით სავსე აღმოჩნდა. კრუიფის მიერ გამოწერილი ორკვირიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდში დაბრუნებულმა სტოიჩკოვმა მეორე ტაიმის დასაწყისში ეფექტური გოლით დააწინაურა თავისიანები, მაგრამ... მატჩის 94-ე წუთზე ბასკთა ბოლო შეტევისას ბურთი ფეხზე მოხვდა კუმანს და ბუსკეტის თავს უკან კარში ჩაეშვა. მოულოდნელად დიდი ანგარიშით მოიგო „სპორტინგმა", თუმცა სანამ მსაჯი „სევილიას" ორ ფეხბურთელს გაუგდებდა, ანგარიში მინიმალური იყო. 11-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა „ოვიედომ", „კომპოსტელამ" კი გამოიჭირა „ლოგრონიესი" და უმაღლეს დივიზიონში თავისი პირველი დიდი ანგარიშით მოგება იზეიმა. ბილბაოს „ატლეტიკმა" სიგანდასა და გარიტანოს გოლებით მოიგო, „ვალენსიას" კი ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს და ქულა დააკარგვინეს.

**ლევან ბახტაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible]ლი | 28 | 17 | 8 | 3 | 63-21 | 42 |
| ლ[illegible] კორუნია | 28 | 14 | 8 | 6 | 44-25 | 36 |
| ბარსელონა | 28 | 14 | 7 | 7 | 45-35 | 3[illegible] |
| ბეტისი | 28 | 11 | 12 | 5 | 33-17 | 34 |
| სარაგოსა | 28 | 14 | 5 | 9 | 38-35 | 33 |
| ესპანიოლი | 28 | 10 | 10 | 8 | 34-27 | 30 |
| სევილია | 28 | 11 | 8 | 9 | 35-30 | 30 |
| ატლეტიკი | 28 | 10 | 10 | 8 | 24-25 | 30 |
| ტენერიფე | 28 | 11 | 7 | 10 | 43-39 | 29 |
| ოვიედო | 28 | 10 | 9 | 9 | 34-30 | 29 |
| ვალენსია | 28 | 9 | 10 | 9 | 37-32 | 28 |
| სოსიედადი | 28 | 8 | 11 | 9 | 39-36 | 27 |
| რასინგი | 28 | 10 | 5 | 13 | 33-37 | 25 |
| კომპოსტელა | 28 | 8 | 9 | 11 | 30-36 | 25 |
| სელტა | 28 | 7 | 11 | 10 | 23-34 | 25 |
| ატლეტიკო | 28 | 9 | 6 | 13 | 40-42 | 24 |
| ალბასეტე | 28 | 6 | 12 | 10 | 34-42 | 24 |
| სპორტინგი | 28 | 7 | 10 | 11 | 34-49 | 24 |
| ვალიადოლიდი | 28 | 6 | 8 | 14 | 19-50 | 20 |
| ლოგრონიესი | 28 | 1 | 8 | 19 | 9-49 | 10 |

ბომბარდირები

ივან სამორანო (რეალი) — 22
მეხო კოდრო (სოსიედადი) — 20
დავორ შუკერი (სევილია) — 14

**ნიგერია** ფიფამ ბოლომდე მიწასთან გაასწორა. ჯერ შარი მოსდო, სტადიონები არ გივარგა და ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა უნდა ჩამოგართვაო. აფრიკელებმა ბაზები მოაწესრიგეს და ფიფამაც ახლა ის მოიგონა, ქვეყნის ზოგ რაიონში ეპიდემიებია მოდებულიო. ნიგერიამ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტების დახმარებით დაამტკიცა, რომ შეჯიბრების სიახლოვეს ეპიდემია არ აღნუსხულა. ამის საპასუხოდ ფიფამ „სუპერ-არწივების" ქვეყანას ახალი შარი მოსდო: დემოკრატია ვერ დაგიმყარებიათ და კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს სამხედრო ხუნტა არა სცნობსო. ახალი ბრალდება ნიგერიული ფეხბურთის მამებმა ვერ გააბათილეს და გახარებულმა ფიფამაც ამ ქვეყანას ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოართვა. კონტინენტური სოლიდარობის გამო არცერთმა აფრიკულმა ქვეყანამ ისურვა შეჯიბრების მოწყობა. ტურნირი უთუოდ ჩაიშლებოდა, ფიფას რომ არ გამოეძებნა სპარსეთის ყურის არაბული ქვეყანა ყატარი, რომელსაც ამ მასშტაბის შეჯიბრების გასამართად ყველაფერი მზად აღმოაჩნდა: დედაქალაქში თავმოყრილი სტადიონები, სასტუმროები, კავშირგაბმულობა, საერთაშორისო აეროპორტი და სხვ. არაბებმა ჩემპიონატი რომ გადაიბარეს, ფიფა ყველა მონაწილეს დაეკითხა, შეჯიბრებაში მონაწილეობას კვლავაც თუ აპირებთო. აფრიკის ქვეყნებმა ბურუნდიმ და კამერუნმა სასწრაფოდ აფრინეს დასტური, ვინაიდან აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციისაგან ინსტრუქცია ჰქონდათ მიღებული, უარი არასგზითა თქვათ, თორემ ბოიკოტი აფრიკულ ფეხბურთს მეტად ავნებს და ჩვენს მოძულე ფიფასაც გაახარებსო. გაოჩნდა მხოლოდ ნიგერია, რომელიც, ეტყობა, გაუნაწყენდა მსოფლიო ფეხბურთის მაფიოზო გამგებლებს და სამგზისი შეხსენების მიუხედავად პასუხი მაინც არ აღირსა, რის შემდეგაც ფიფას სრული საფუძველი შეექმნა საიმისოდ, ნიგერიელთა დუმილი თანხმობის დასტურად რომ არ მიეჩნია. როგორც მოსალოდნელი იყო, ფიფამ ნიგერიელთა ბოიკოტის გამო ცხარი, ფარისევლური ცრემლი ღვარა და მის ადგილი ახალ მასპინძელს — ყატარს გადაულოცა. შეჯიბრი 13 აპრილს დაიწყება. ისე კი საინტერესოა, რას იზამდა ფიფა, ნიგერიას თამაში რომ არ ეუარა, შეჯიბრს ყატარელთა გარეშე ჩაატარებდა?

**არგენტინელი** ხორხე ბურუჩაგა, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, როგორც გახსოვთ, საფრანგეთის „ვალანსიენში" შარში გაეხვია. „მარსელის" მიერ მი-

# ინგლისი

პირველობა. 4 აპრილი: ქუინზ პარკი — ბლექბერნი 0:1; კრისტალ პალასი — ასტონ ვილა 0:0. 5 აპრილი: ლიდსი — იფსვიჩი 4:0; ლესტერი — ნორვიჩი 1:0; ლივერპული — საუთჰემპტონი 3:1. 8 აპრილი: ნიუკასლი — ნორვიჩი 3:0; ნოტინგემი — ვესტ ჰემი 1:1; შეფილდ უენსდეი — ლესტერი 1:0; ქუინზ პარკი — არსენალი 3:1. 9 აპრილი: ლივერპული—ლიდსი 0:1.

ასოციაციის თასის ნახევარფინალი. 9 აპრილი: ტოტენჰემი — ევერტონი 1:4 (ლიდსში); მანჩესტერ იუნაიტედი — კრისტალ პალასი 2:2 (ბირმინგემში; დ.დ. 1:1)

## ევროპაში გასასვლელად...

თასის ნახევარფინალების კვირაში პირველობამ ისევ მეორე პლანზე გადაინაცვლა, მით უფრო, რომ „ბლექბერნი" ფინიშამდე 6 ტურით ადრე 8 ქულით უსწრებს შარშანდელ ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს". მთავარი ბრძოლები ახლა უეფას თასზე მოსახვედრადა და გასავარდნი ბოლო ოთხი ადგილიდან თავის დასაღწევად წარმოებს.

„ლესტერი" გავარდნილია, მაგრამ ხუთი თვის შემდეგ შინ მაინც მოიგო და ბოლო ადგილს თავი დააღწია. „ლივერპული", ვინაც წინა კვირას „კოკა-კოლას" ლიგის თასის მოგებით უეფას თასზე გავიდა, პირველობაზე ძველებურად არასტაბილურად თამაშობს. მართალია, შუა კვირაში რაშის ორი გოლითა და ფაულერის პენალტით მოუგო „საუთჰემპტონს", ვინაც კარში ისევ დააყენა კორუფციაში ეჭვმიტანილი ბრუს გრობელაარი, მაგრამ კვირას შინვე წააგო „ლიდსთან" 0:1 (ბრაიან დინი), რომელმაც შუა კვირაშიც მოიგო. იმ თამაშში ფრანკფურტიდან ნაყიდმა განელმა ენტონი იებოამ პირველ ტაიმში სამი გოლი გაიტანა, რითაც მონაგარი ათამდე აიყვანა.

„ნიუკასლს" წელს შინ ჯერ არ წაუგია. ახლაც პიტერ ბერდსლის ორი გოლით შემდეგ გაიმდლა გამარჯვება და საგა... [illegible] ევროპაში გასვლა. უშედეგოთ თა... [illegible] „ნოტინგემმა" და გავარდნის [illegible] სტუმრები 79-ე წუთამდე იგებდნენ [illegible] ან დიქსის საჯარიმოთი, მაგრამ სტენ კ[illegible]ლიმორის 22-ე გოლმა მასპინძლებს ქულა გადაურჩინა. „შეფილდმა" „ლესტერს" გაი ვითინგემის თაურით აჯობა, ლონდონის ორი გუნდის — „ქუინზ პარკისა" და ორი დღით ადრე „სამპდორიის" მძლეველი „არსენალის" თამაშში კი ბურთები გაიტანე იმპიმ, პენრაიზმა, გალანმა („ქუინზ პარკი") და კაპიტანმა ტონი ადამსმა („არსენალი").

თასზე ერთ თამაში გადასათამაშებელი გახდა. „მანჩესტერ იუნაიტედი" და „კრისტალ პალასი" 1990 წელს ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ, ხვალ კი ბირმინგემის „ვილა პარკზე" მეორეღაც უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს. პირველი მატჩის წინ ამ გუნდების ქომაგი ნეიტრალური ქალაქის ქუჩებში შეიბნენ, რისი შედეგიც ერთი დაღუპული და ერთი დაჭრილია. ფეხბურთის ასოციაცია საქმეს იძიებს.

არც თამაში გამოდგა ურიგო. პირველობის მაჩანჩალა „პალასი" ორჯერ უგებდა თასის ამჟამინდელ მფლობელს. 31-ე წუთზე იენ დაუიმ თაურით შეარხია შმაიხელის კარის ბადე, მაგრამ 70-ე წუთზე ლონდონელებმა ინსი წააქციეს, ირვინმა კი 30-მეტრიდან საჯარიმო რომ დაარტყა, ბურთი ვილაცას მოხვდა და კარში გავიდა. დამატებითი დროის მე-2 წუთზე არმსტრონგმა ჩახვეული დარტყმით ისევ დააწინაურა „პალასი", მაგრამ ოთხ წუთში გარი პალისტერმა მეორედ გაათანაბრა ანგარიში.

მეორე მაჩანჩალა — „ევერტონი" ფინალშია. ლიდსის „ელანდ როუდზე" ლივერპულელები, მეტადრე კი შვედი ანდერს ლიმპარი, მწვავედ უტევდნენ „ტოტენჰემის" კარს. 36-ე წუთზე ჰინჩკლიფ-ჯექსონის კომბინაციას პირველი გოლი მოჰყვა, 53-ეზე კი სტიუარტმა ანგარიში 2:0 გახადა. ლონდონელმა გერმანელმა კლინსმანმა პენალტი გაიტანა, მაგრამ მერე „ევერტონელი" რაიდაუთი დაშავდა, მის მაგივრად მოედანზე შესულმა ნიგერიელმა დანიელ ამოკაშიმ კი ბოლო ათ წუთში ორი გოლი გაიტანა. „ევერტონმა" 4:1 მოიგო და ბოლო 11 წლის მანძილზე მეხუთედ გავიდა ასოციაციის თასის ფინალში.



დანიელ ამოკაშიმ ორი გოლი იკმარა, მაგრამ ბებეტოზე ნაკლებად არ გახარებია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 36 | 25 | 7 | 4 | 73-30 | 82 |
| მანჩესტერ იუნ. | 36 | 22 | 8 | 6 | 66-24 | 74 |
| ნიუკასლი | 36 | 19 | 10 | 7 | 60-37 | 67 |
| ნოტინგემი | 37 | 18 | 10 | 9 | 64-40 | 64 |
| ლივერპული | 34 | 17 | 10 | 7 | 57-28 | 61 |
| ლიდსი | 36 | 16 | 11 | 9 | 49-33 | 59 |
| ტოტენჰემი | 34 | 14 | 10 | 10 | 55-46 | 52 |
| უიმბლდონი | 35 | 15 | 6 | 14 | 45-57 | 51 |
| ქუინზ პარკი | 35 | 14 | 8 | 13 | 54-52 | 50 |
| შეფილდ უენ. | 37 | 12 | 10 | 15 | 45-53 | 46 |
| ასტონ ვილა | 36 | 10 | 13 | 13 | 47-48 | 43 |
| არსენალი | 36 | 11 | 10 | 15 | 42-44 | 43 |
| ქოვენთრი | 36 | 10 | 13 | 13 | 37-54 | 43 |
| ნორვიჩი | 37 | 10 | 12 | 15 | 34-47 | 42 |
| მანჩესტ. სიტი | 35 | 10 | 11 | 14 | 44-54 | 41 |
| ჩელსი | 34 | 10 | 11 | 13 | 41-47 | 41 |
| საუთჰემპტონი | 34 | 8 | 15 | 11 | 49-57 | 39 |
| ევერტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 38-48 | 39 |
| კრისტ.პალასი | 34 | 9 | 11 | 14 | 25-35 | 38 |
| ვესტ ჰემი | 35 | 10 | 8 | 17 | 34-45 | 38 |
| ლესტერი | 37 | 5 | 9 | 23 | 40-71 | 24 |
| იფსვიჩი | 35 | 6 | 5 | 24 | 31-80 | 23 |

# გერმანია

XXV ტური. 7 აპრილი. ბოხუმი — ჰამბურგი 0:0, ურდინგენი — შტუტგარტი 4:1. 8 აპრილი. შალკე — დორტმუნდი 0:0, კარლსრუე — აინტრახტი 1:1, დინამო — კიოლნი 1:3, ფრაიბურგი — დუისბურგი 3:0, ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი 1:1, ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი 3:1. 9 აპრილი. ვერდერი — მიუნხენ 1860 2:0.

## კახის არც კიორბელი ტყალობს

მოსახდენი მოხდა! დორტმუნდის „ბორუსიას", რომელიც თავიდანვე ერთპიროვნულად ლიდერობდა ჩემპიონატს, ტახტზე ჩაჩოჩება მოუწია და ახლა ბუნდესლიგას ორი ლიდერი ჰყავს. შაბათს გელზენკირხენში დორტმუნდელებს სეტყვა და მასპინძელთა იერიშები დაატყდათ თავს, მაგრამ კლოსი გაუვალი აღმოჩნდა. მეორე დღეს „მიუნხენ 1860" შეეცადა „ვერდერისთვის" ხელი შეეშალა, მაგრამ ამაოდ. პირველ ტაიმში ბრემენელთა მეკარე ოლივერ რეკს უფრო მეტი საქმე ჰქონდა, ვიდრე მის მიუნხენელ კოლეგას, ვის კართანაც მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ისიც ბესჩასტნიხმა გააცუდა. მეორე ტაიმი კი „სუპერმარიოს" ბენეფისი იყო. ბასლერმა დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო კუთხურების, არამედ ჯარიმების დიდოსტატიცაა. 74-ე წუთზე მან 27 მეტრიდან ცხრიანში გაიტანა პირველი გოლი, მატჩის მიწურულს კი იგივე პოზიციიდან ძელი შეაზანზარა. ამ ორ დარტყმას შორის ბასლერისვე წამოწყებული კომბინაცია ჰობშმა გააგრძელა და ავსტრიელმა ჰერცოგმა დაავგვირგვინა — 2:0.

დავუბრუნდეთ შაბათს. ამ დღეს „აინტრახტი" ახალი, თუმცა დროებითი, მწვრთნელის კარლ-ჰაინც კიორბელის რჩევა-დარიგებით გამოვიდა მოედანზე და საპატიო ფრეს მიაღწია. მეტიც შეეძლო, მაგრამ ბოლოს ოკოჩამ ბურთი ძელს გაარტყა. მანამდე კი ჯერ მასპინძელთა ხორვატმა მცველმა სლავენ ბილიჩმა გამოიყენა ჰესლერის კუთხური, 54-ე წუთზე კი 20 წლის მიხაელ ანიჩიჩმა აღადგინა წონასწორობა. რაც შეეხება კახი ცხადაძეს, იგი არც კორბელმა დააყენა ძირითად შემადგენლობაში.

ახალი მწვრთნელი ჰყავდა ლევერკუზენის „ბაიერსაც". „პარმასთან" შინ წაგების შემდეგ სერბი დრაგოსლავ სტეპანოვიჩი გადადგა და ახლა ერიხ რიბეკი ავარჯიშებს. რიბეკი უცხო როდია ლევერკუზენისთვის: სწორედ მისი ხელმძღვანელობით 1988 წელს „ბაიერმა" უეფას თასი მოიპოვა. რისი გაკეთება მოასწრო რიბეკმა ორ დღეში, ძნელი სათქმელია, მაგრამ მასპინძლებმა საუცხოოდ ითამაშეს მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეცხრე წუთზე ათნი დარჩნენ — იოზეფ ნელმა მარტინ დალინი მოცელა და მსაჯმა მცველი მოედნიდან მოკვეთა. პირველი გოლი 28-ე წუთზე გავიდა: ტომმა ინდივიდუალური გარღვევა ღირსეულად დაამთავრა. 62-ე წუთზე გდრ-ის ნაკრების მეორე ყოფილმა თავდამსხმელმა კირსტენმა იყოჩაღა — მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მერე სტუმართა მცველ შტადლერს და კარში შევარდა. მიონხენგლადბახისა და გერმანიის ნაკრების იმედმა ჰაიკო ჰერლიხმა, ათიდ დღის წინ თბილისში რომ სტუმრობდა, ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ბრაზილიელმა სერჟიომ ბოლო წუთზე კიდევ ერთი გაიტანა და რიბეკს საჩუქრად სოლიდური ანგარიში მიართვა.

მწვრთნელის შეცვლას არა, მაგრამ სტადიონის შეკეთებას კი აპირებს „ფრაიბურგის" ხელმძღვანელობა. გუნდს რეალური შანსი აქვს პირველად თავის ისტორიაში უეფას თასზე გავიდეს და ამიტომაც „დუისბურგის" განადგურებას მხოლოდ სამ ტრიბუნაზე მოკალათებული მაყურებლები დაესწრნენ — მეოთხე უკვე ევროთასებისთვის ემზადება. აუტსაიდერ „დუისბურგს" მსაჯმა 62-ე წუთზე მაროკოელი რაშიდ აზუზი, 66-ეზე კი ოლივერ ვესტერბეკი გაუძევა და მასპინძელთა კაპიტანმა უკვე შპისმა თავის მე-6 წუთზე გატანილ გოლს 85-ეზეც მიამატა. კიდევ ერთი გოლი 22-ე წუთზე ანდრეას ცაიერმა შეაგდო. ჩინებულ ფორმაშია „კიოლნი" და მისი ავსტრიელი ფორვარდი პოლსტერი. დრეზდენში სტუმრები არ დააბნია დინამოელი იანიგის მე-15 წუთზე გატანილმა გოლმა და დარჩენილ დროში ამას სამით უპასუხეს: თავი გამოიჩინეს ლაბადიამ (65), გრაინერმა (70) და პოლსტერმა (88). ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „ბაიერნი" კაპიტან თომას ჰელმერის გარეშე თამაშობდა და 41-ე წუთზე გოლიც გაუშვა — სფორცას პასი კუნცმა გამოიყენა, მაგრამ სამ წუთში ახალმა კაპიტანმა მეჰმეთ შოლმა ბრწყინვალე დარტყმით ქულა გადაარჩინა.

გიგა კობა[illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 25 | 15 | 7 | 3 | 51-22 | 37 |
| ვერდერი | 25 | 16 | 5 | 4 | 49-25 | 37 |
| ფრაიბურგი | 25 | 15 | 4 | 6 | 53-35 | 34 |
| კაიზერსლაუტ. | 25 | 12 | 10 | 3 | 35-24 | 34 |
| გლადბახი | 25 | 13 | 6 | 6 | 52-31 | 32 |
| ბაიერნი | 25 | 9 | 13 | 3 | 42-33 | 31 |
| კარლსრუე | 25 | 8 | 11 | 6 | 34-31 | 27 |
| კიოლნი | 25 | 9 | 7 | 9 | 42-41 | 25 |
| ლევერკუზენი | 25 | 8 | 8 | 9 | 43-38 | 24 |
| ჰამბურგი | 25 | 8 | 8 | 9 | 32-31 | 24 |
| შტუტგარტი | 25 | 8 | 8 | 9 | 43-47 | 24 |
| შალკე | 25 | 7 | 9 | 9 | 33-35 | 23 |
| აინტრახტი | 25 | 7 | 8 | 10 | 27-39 | 22 |
| ურდინგენი | 25 | 4 | 10 | 11 | 27-36 | 18 |
| ტსვ მიუნხენი | 25 | 4 | 8 | 13 | 26-47 | 16 |
| ბოხუმი | 25 | 6 | 3 | 16 | 28-51 | 15 |
| დუისბურგი | 25 | 4 | 7 | 14 | 20-44 | 15 |
| დინამო | 25 | 3 | 6 | 16 | 22-48 | 12 |

ბომბარდირები:

როდოლფო კარდოსო (ფრაიბურგი) — 15
მარიო ბასლერი (ვერდერი) — 15
ჰაიკო ჰერლიხი (გლადბახი) — 15
ტონი პოლსტერი (კიოლნი) — 15



ტრიუმფატორის პოზა მარიო ბასლერისთვის ბოლო დროს ტრადიციული გახდა

# კვიპროსი

მორიგ ტურში „ომონიამ" დაუგეგმავი სამი ქულა დაკარგა. სტუმრად ა.ე.კ.-[illegible] მასპინძლებმა ჯერ გაათანაბრეს, მის მერე კი, რაც „ომონიას" გერმანელმა მწვრთნელმა პროკოპმა გოგრიჭიანი შეცვალა, გამარჯვებაც მოიპოვეს — 2:1. ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ეთნიკოსი — არისი 2:4, ანორთოსისი — ოლიმპიაკოსი 3:0, არაპიდუ — ნეა სალამინა 2:2, პარალიმნი — ა.ე.ლ. 2:0, აპოლონი — აპოელი 3:0. ახლა „ომონიას" „ანორთოსისიც" დაეწია და ისინი 60-60 ქულით იყოფენ ლიდერობას.

# საფრანგეთი

32-ე ტური. 7-8 აპრილი. ლიონი — ლანი 1:1, ოსერი — მონპელიე 0:1, ბასტია — ლე ავრი 3:2, კაენი — მარტიგი 0:1, ლილი — რენი 1:0, ნანტი — სოშო 2:0, პარი სენ-ჟერმენი — ნიცა 2:3, მონაკო — სტრასბური 3:1, მეცი — ბორდო 2:3, კანი — სენტ-ეტიენი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 32 | 19 | 13 | 0 | 61-25 | 70 |
| ლიონი | 31 | 16 | 10 | 5 | 48-31 | 58 |
| პსჟ | 31 | 16 | 6 | 9 | 47-32 | 54 |
| ლანი | 32 | 13 | 13 | 6 | 40-30 | 52 |
| კანი | 32 | 15 | 6 | 11 | 45-30 | 51 |
| ბორდო | 32 | 13 | 8 | 11 | 44-44 | 47 |
| მონაკო | 32 | 12 | 10 | 10 | 42-31 | 46 |
| ოსერი | 32 | 9 | 17 | 6 | 46-32 | 44 |
| ლე ავრი | 32 | 11 | 11 | 10 | 40-38 | 44 |
| მეცი | 31 | 12 | 7 | 12 | 40-38 | 43 |
| სტრასბური | 32 | 11 | 10 | 11 | 37-38 | 43 |
| მარტიგი | 32 | 10 | 12 | 10 | 31-29 | 42 |
| ლილი | 32 | 10 | 7 | 15 | 21-39 | 37 |
| ბასტია | 32 | 9 | 9 | 14 | 33-44 | 36 |
| მონპელიე | 32 | 8 | 12 | 12 | 32-44 | 36 |
| სენტ-ეტიენი | 32 | 9 | 8 | 15 | 37-42 | 35 |
| რენი | 32 | 8 | 11 | 13 | 36-51 | 35 |
| ნიცა | 32 | 9 | 8 | 15 | 33-44 | 35 |
| კაენი | 31 | 8 | 5 | 18 | 30-44 | 29 |
| სოშო | 32 | 6 | 5 | 21 | 27-53 | 23 |

# თასების თასი

წინა ხუთშაბათს პირველ ნახევარფინალურ მატჩებში „სარაგოსამ" 3:0 დაამარცხა „ჩელსი", „არსენალმა" 3:2 — „სამპდორია".

## ფეხბურთის რუკასთან



სი გუნდის მოქრთამვის საქმემ ბურუჩაგა კი არა, მილიონერი ბერნარ ტაპიც კი გააკოტრა და გარიყა. არგენტინელს ორ თანაგუნდელთან ერთად ქრთამის უშუალოდ გამორთმევა ბრალდებოდა, რის გამოც იგი ფეხბურთიდან ორი წლით მოკვეთეს. ეს ორი წელი მან სამშობლოში, „ინდეპენდიენტეში" გაატარა. ვერ ითამაშებდა, მაგრამ ვარჯიშობდა. ახლახან კი სასჯელის ვადა გაუთავდა და ბურუჩაგაც მოედანზე გამოჩნდა. მისმა გუნდმა „რივერ პლეიტთან" 1:1 ითამაშა და გოლი სწორედ მან გაიტანა, შემდეგ „ინდეპენდიენტემ" ურუგვაის უძლიერესი კლუბი „პენიაროლი" 2:1 დაამარცხა. 63-ე წუთზე პენალტით თავი კვლავ ვეტერანმა გამოიჩინა. ახლა არგენტინის ჩემპიონ „ინდეპენდიენტეს" ტიტულის დაცვა სურს და იმედი აქვს, რომ ამაში ხორხე ბურუჩაგა დიდად დაეხმარება.

ინგლისს და „მანჩესტერ იუნაიტედს" ფრანგი მოთამაშე ერიკ კანტონა, ალბათ, დაემშვიდობება. მის თავს გადახდენილი აყალმაყალის მერე, როგორც ცნობილია, მილანის „ინტერი" გააქტიურდა, რომელსაც ფორვარდის გადაბირება სურსა. იტალიური გუნდი ამ კვირაში კანტონასთან საფუძვლიანად საუბარს აპირებს.

სამხრეთ კორეა და იაპონია 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას რომ ლამობენ და კონკურენტები არიან, ცნობილია. ისიც გაუწყეთ, რომ სამხრეთ კორეას ჩრდილოეთ კორეასთან შეამხანაგებით სურდა ეს საქმე, მაგრამ უარი შეუთვალეს. ახლა გავრცელდა ცნობა, რომ იაპონიას მეტოქისთვის შეუთვლია, ნუ ვიდავებთ და პირველობა ერთად გავმართოთო, რაც კორეელთა კულტურისა და სპორტის მინისტრს შორის დაუჭერია.

ბრაზილიის ნაკრების მოთამაშე ვიოლა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დამატებით დროში თავი დრიბლინგებით დაგვამახსოვრა, შიდა ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში, თავისი „კორინთიანსის" შემადგენლობაში რომ თამაშობდა, მეტოქეს ისე დაეჯახებია, სუნთქვა შეკვრია და კინაღამ მომკვდარა. ფეხბურთელი საავადმყოფოში გაუქანებიათ, სადაც გონს მოსულა.

საფრანგეთის ორი-სამი წლის წინანდელი სუპერკლუბი მარსელის „ოლიმპიკი" ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით 14 აპრილს საჯარო აუქციონზე გაიყიდება. გუნდს კიდევ ერთი ლიგით დაქვეითებაც აქვს მისჯილი, მაგრამ როგორც ჩანს, იგი მაინც იმ ლიგაში დარჩება, სადაც ახლა თამაშობს. საქმე ის არის, რომ „მარსელი" კარგად ასპარეზობს და უეჭველად პირველ, მეორე ან მესამე ადგილზე გავა, ანუ პირველ დივიზიონში გადავა, პირველიდან დაქვეითება კი კვლავ ახლანდელ დივიზიონში დაბრუნებას ნიშნავს.

მექსიკის კლუბმა „ამერიკამ" ჰოლანდიელი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი გაუშვა. უცნაური ის არის, რომ გუნდი პირველ ადგილზე მიდიოდა.

შოტლანდიაში თასის პირველი ნახევარფინალები გაიმართა. „ჰიბერნიანსმა" უმასპინძლა „სელტიკს" და 0:0 ითამაშა. მისმა მეკარემ ლეიტონმა შეხვედრის მიწურულს პენალტი მოიგერია. თუ „ჰიბსმა" ივაჟკაცა და თასი მოიგო, დიდი ამბავი მოხდება, რადგან ამ გუნდს ასეთი წარმატებისთვის 1902 წლის მერე არ მიუღწევია, ხოლო თუ ჯილდოს „სელტიკი" მოიპოვებს, იგი ექვსი წლის წინანდელ მიღწევას გაიმეორებს. მეორე ნახევარფინალში პირველი ჯგუფის „ეიდრი იუნაიტედმა" პრემიერ ლიგის „ჰარტსს" სძლია 1:0. გოლი 27-ე წუთზე შოტლანდიაში მოთამაშე ინგლისელმა კუპერმა გაიტანა. საგულისხმოა, რომ „ეიდრის" „ჰარტსისთვის" 1992-შიც ასევე ნახევარფინალი მოუგია, ოღონდ მაშინ ეს პენალტებით მოახერხა. რაც შეეხება ქვეყნის ჩემპიონატს: „რეინჯერსმა" „აბერდინი" დაამარცხა 3:2. 53-ე წუთზე 2:2 იყო და გადამწყვეტი ბურთი ჰეითლიმ შეაგდო. „მოზერველმა" შინ „პარტიკთან" 1:2 წააგო. დღეისთვის 64 ქულით წინ „რეინჯერსია" და ჩემპიონობამდე ერთი ქულა აკლია, მეორეზე 45 ქულით „მოზერველი" მიდის. ბოლო, მეათე ადგილზე „აბერდინია", რომელსაც ვეღარაფერი უშველის. ისიც ცნობილია, რომ ქვედა ჯგუფში „რეისროუერსს" ვეღარავინ დაეწევა და იგი პრემიერ ლიგაში „აბერდინის" ადგილს შეავსებს. აქვე დავძენთ, რომ „რეისროუერსმა" წლეულს ლიგის თასიც მოიგო. მეცხრე ადგილზე მყოფი „დანდი იუნაიტედი" კი პირველი ლიგის მეორე გუნდს „დანდის" შეხვდება და ასე გაარკვევს თავის საგაისო ადგილსამყოფელს.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | 1 | X | 2 | Iნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|

### იტალია. 27-ე ტური. 15 აპრილი

| | 1 | X | 2 | Iნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|
| CREMONESE - BARI<br>a 1-2 Sampdoria / h 2-2 Fiorentina<br>h 0-0 Lazio / a 1-1 Genoa | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-2 | -/- | -/- |
| FIORENTINA - NAPOLI<br>a 2-2 Bari / h 0-0 Roma<br>h 4-0 Brescia / h 2-0 Sampdoria | 1,4 | 2,7 | 4,7 | 5-2 | -/- | 1-1/1-4 |
| FOGGIA - PARMA<br>a 1-2 Cagliari / h 2-3 Milan<br>h 4-1 Padova / a 0-1 Roma | 2,3 | 2,4 | 2,3 | 0-2 | 3-2/0-3 | 1-0/0-4 |
| GENOA - CAGLIARI<br>a 0-2 Inter / h 2-1 Foggia<br>h 1-1 Bari / a 2-3 Torino | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-1 | 1-1/0-0 | 2-3/0-3 |
| INTER - MILAN<br>h 2-0 Genoa / a 3-2 Parma<br>a 1-0 Reggiana / h 0-2 Juventus | 2,4 | 2,4 | 2,2 | 1-1 | 1-2/1-2 | 1-1/1-1 |
| PADOVA - LAZIO<br>a 3-1 Brescia / h 2-0 Reggiana<br>a 1-4 Foggia / a 0-0 Cremonese | 2,5 | 2,5 | 2,0 | 1-5 | -/- | -/- |
| REGGIANA - JUVENTUS<br>a 0-2 Lazio / h 1-2 Torino<br>h 0-1 Inter / a 2-0 Milan | 5,3 | 3,4 | 1,2 | 1-3 | 0-0/0-4 | -/- |
| ROMA - BRESCIA<br>a 0-0 Napoli / h 1-3 Padova<br>h 1-0 Parma / a 0-4 Fiorentina | 1,1 | 3,2 | 8,0 | 0-0 | -/- | 2-3/2-0 |
| TORINO - SAMPDORIA<br>a 2-1 Juventus / h 2-1 Cremonese<br>h 3-2 Cagliari / a 0-2 Napoli | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | 2-3/0-1 | 2-2/1-0 |

### ესპანეთი. 29-ე ტური. 15-16 აპრილი

| | 1 | X | 2 | Iნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ATLETICO - REAL<br>a 0-2 Betis / h 3-0 Zaragoza<br>h 0-2 Celta / a 1-1 Compostela | 2,5 | 2,5 | 2,0 | 2-4 | 0-0/0-1 | 1-1/0-1 |
| VALENCIA - BETIS<br>a 0-0 Celta / h 2-0 Atletico<br>h 1-2 Deportivo / a 0-3 Zaragoza | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | -/- | -/- |
| ZARAGOZA - LOGRONES<br>a 0-3 Real / h 0-4 Compostela<br>h 3-0 Betis / a 0-2 Espanol | 1,1 | 3,0 | 10,0 | 0-0 | 1-1/2-2 | 1-1/0-0 |
| TENERIFE - CELTA<br>a 1-4 Deportivo / h 0-0 Valencia<br>h 2-1 Barcelona / a 2-0 Atletico | 1,3 | 2,8 | 5,6 | 2-3 | 0-0/0-1 | 1-0/1-0 |
| COMPOSTELA - ALBACETE<br>a 4-0 Logrones / h 1-1 Espanol<br>h 1-1 Real / a 1-2 Racing | 1,8 | 2,5 | 3,0 | 3-1 | -/- | -/- |
| R. SOCIEDAD - DEPORTIVO<br>a 1-1 Barcelona / h 4-1 Tenerife<br>h 3-0 Valladolid / a 2-1 Valencia | 2,0 | 2,5 | 2,5 | 1-3 | 0-1/1-0 | 0-2/1-5 |
| ESPANOL - ATHLETIC<br>a 1-1 Albacete / h 2-0 Racing<br>h 2-0 Logrones / a 1-1 Sporting | 1,6 | 2,6 | 3,6 | 3-1 | -/- | 2-0/0-2 |
| OVIEDO - BARCELONA<br>a 1-2 Valladolid / h 1-1 Sociedad<br>h 1-1 Sevilla / a 1-2 Tenerife | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-1 | 1-3/0-1 | 1-0/0-2 |
| RACING - SPORTING<br>a 0-2 Athletic / h 3-0 Sevilla<br>h 2-1 Albacete / h 1-1 Athletic | 1,5 | 2,7 | 4,0 | 3-2 | 2-0/2-0 | -/- |
| SEVILLA - VALLADOLID<br>a 0-3 Sporting / h 2-1 Oviedo<br>h 1-1 Oviedo / a 0-3 Sociedad | 1,1 | 3,2 | 8,0 | 4-0 | 3-3/2-2 | -/- |

### გერმანია. 26-ე ტური. 13-16 აპრილი

| | 1 | X | 2 | Iნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 13.04 B. UERDINGEN - B. LEVERKUSEN<br>h 4-1 Stuttgart / h 3-1 Borussia M<br>a 1-3 Borussia D / a 2-4 Stuttgart | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-1 | -/- | 2-1/0-1 |
| HAMBURGER SV - FREIBURG<br>a 0-0 Bochum / h 3-0 Duisburg<br>h 0-0 Werder / a 2-1 Borussia M | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-3 | 1-1/1-0 | -/- |
| 15.04 KOLN - WERDER<br>a 3-1 Dynamo / h 2-0 Munchen 1860<br>h 3-1 Bayern / a 0-0 Hamburger SV | 2,2 | 2,4 | 2,4 | 2-2 | 2-0/1-3 | 0-0/0-2 |
| KAISERSLAUTERN - DYNAMO<br>a 1-1 Bayern / h 1-3 Koln<br>h 0-0 Karlsruher SC / a 1-3 Munchen 1860 | 1,1 | 3,2 | 8,0 | 0-1 | 0-0/1-3 | 2-0/3-1 |
| EINTRACHT - BAYERN<br>a 1-1 Karlsruher SC / h 1-1 Kaiserslautern<br>h 0-3 Schalke 04 / a 1-3 Koln | 2,4 | 2,3 | 2,3 | 3-3 | 2-2/1-2 | 1-1/0-1 |
| BORUSSIA D - KARLSRUHER SC<br>a 0-0 Schalke 04 / h 1-1 Eintracht<br>h 3-1 B. Uerdingen / a 0-0 Kaiserslautern | 1,2 | 2,8 | 8,0 | 0-0 | 2-1/3-3 | 3-1/0-3 |
| STUTTGART - SCHALKE 04<br>a 1-4 B. Uerdingen / h 0-0 Borussia D<br>h 4-2 B. Leverkusen / a 3-0 Eintracht | 1,5 | 2,7 | 4,0 | 1-1 | 3-0/1-0 | 1-0/0-1 |
| DUISBURG - BORUSSIA M<br>a 0-3 Freiburg / a 1-3 B. Leverkusen<br>h 3-1 Bochum / h 1-2 Freiburg | 2,5 | 2,5 | 2,0 | 0-1 | 2-0/1-4 | -/- |
| 16.04 MUNCHEN 1860 - BOCHUM<br>a 0-2 Werder / h 0-0 Hamburger SV<br>h 3-1 Dynamo / a 1-3 Duisburg | 1,6 | 2,6 | 3,6 | 2-2 | -/- | -/- |

### ინგლისი. 38-ე ტური. 15-17 აპრილი

| | 1 | X | 2 | Iნრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ARSENAL - IPSWICH<br>a 1-3 QPR / a 0-4 Leeds<br>h 5-1 Norwich / h 0-1 Aston Villa | 1,1 | 3,2 | 8,0 | 2-0 | 4-0/5-1 | 0-0/2-1 |
| MANCHESTER C - LIVERPOOL<br>a 1-2 Crystal Palace / h 0-1 Leeds<br>h 3-2 Sheffield W / h 3-1 Southampton | 2,2 | 2,4 | 2,4 | 0-2 | 1-1/1-2 | 1-1/1-1 |
| CHELSEA - ASTON VILLA<br>h 1-1 Newcastle / a 0-0 Crystal Palace<br>a 1-2 Blackburn / a 1-0 Ipswich | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-3 | 1-1/0-1 | 0-1/3-1 |
| NORWICH - NOTTINGHAM<br>a 0-3 Newcastle / h 1-1 West Ham<br>a 0-1 Leicester / a 7-1 Sheffield W | 2,5 | 2,5 | 2,0 | 0-1 | -/- | 3-1/3-0 |
| COVENTRY - SHEFFIELD W<br>h 0-1 QPR / h 1-0 Leicester<br>a 0-3 Leeds / h 1-7 Nottingham | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-5 | 1-1/0-0 | 1-0/2-1 |
| CRYSTAL PALACE - TOTTENHAM<br>h 0-0 Aston Villa / a 3-4 Southampton<br>h 2-1 Manchester C / h 1-0 Leicester | 3,2 | 2,8 | 1,6 | 0-0 | -/- | 1-3/2-2 |
| EVERTON - NEWCASTLE<br>h 1-2 Blackburn / h 3-0 Norwich<br>a 3-2 QPR / a 1-1 Chelsea | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-2 | 0-2/0-1 | -/- |
| LEICESTER - MANCHESTER U<br>a 0-1 Sheffield W / h 0-0 Leeds<br>h 1-0 Norwich / a 0-2 Liverpool | 5,3 | 3,4 | 1,2 | 1-1 | -/- | -/- |
| SOUTHAMPTON - QPR<br>a 1-3 Liverpool / h 3-1 Arsenal<br>h 4-3 Tottenham / h 0-1 Blackburn | 1,8 | 2,5 | 3,0 | 2-2 | 0-1/1-2 | 1-2/1-3 |
| WEST HAM - WIMBLEDON<br>a 1-1 Nottingham / a 4-3 Leicester<br>a 2-0 Aston Villa / h 2-0 Crystal Palace | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-1 | 0-2/2-1 | -/- |
| LEEDS - BLACKBURN<br>a 1-0 Liverpool / a 2-1 Everton<br>h 4-0 Ipswich / h 2-1 Chelsea | 2,2 | 2,4 | 2,4 | 1-1 | 3-3/1-2 | 5-2/1-3 |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | | 0-1 | | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | | 1-3 | | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | [illegible] | |
| 6 | AC FOGGIA | | 3-1 | 2-0 | 0-1 | | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | ■ | | 1-1 | 2-1 | [illegible] | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | | |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | | 5-0 | 2-1 | | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | | 2-1 | | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | | ■ | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | | 1-0 | 2-0 | | | ■ | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | | | | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | | 4-0 | 2-1 | 2-0 | | 2-0 | | 3-2 | 2-3 | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | |
| 15 | AS ROMA | 2-0 | | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-1 | |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | | 4-0 | | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 0-0 | 0-2 | | 2-0 | 0-2 | | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | | | 3-1 | 1-1 | 2-1 | | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | | | | 0-0 | | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | | |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | | 2-0 | 0-2 | 1-0 | | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | | | 1-2 | 0-1 | ■ | | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | | | 1-1 | 3-0 | 1-1 | | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | | 3-0 | 3-3 | 3-1 | | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | | 1-4 | | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | | | 2-0 | 2-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | ■ | | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | | | 2-0 | 4-2 | | | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | | 3-0 | | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | | | 1-2 | 3-0 | | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | | | 3-2 | 1-0 | | 3-1 | 3-2 | 2-1 | | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | | 1-1 | 2-2 | | | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | | 0-0 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | | |
| 17 | CD TENERIFE | | | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-1 | 4-0 | 1-0 | | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 6-0 | |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | | | 0-0 | 1-2 | | 0-0 | 1-2 | 1-0 | | 3-0 | 4-2 | | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | | | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | 2-0 | ■ | | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | | 2-1 | 0-3 | | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | | | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | | 0-0 | 1-3 | 0-2 | | 0-3 | | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | | 4-1 | 2-0 | | ■ | | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | | | | ■ | 0-0 | 3-1 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 1-1 | 3-2 | | ■ | 0-0 | | 1-0 | | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | | 2-4 | 2-2 | 3-1 | | | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | | 1-6 | 1-2 | | 3-0 | | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | | 4-0 | 2-4 | | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | | | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | | 1-2 | | 4-0 | 2-2 | | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | | | 1-0 | | 1-1 | | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | | 1-1 | | 6-2 | ■ | 1-1 | |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | | 0-0 | 4-2 | | 4-1 | | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | | 1-1 | | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | | 1-3 | 0-2 | | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | | 0-0 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 0-0 | 0-0 | 3-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-3 | 1-1 | | 3-0 | 0-0 | 2-3 | 5-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 | 1-1 | | 0-1 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | 0-1 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-0 | 4-4 | | | 1-2 | 0-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 7-1 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | 3-1 | 3-1 | ■ | 2-1 | 4-0 | | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-0 | 3-2 | | 2-4 | | 0-0 | 3-0 | 4-0 | 3-1 | 3-2 | 2-0 | 4-2 | 2-1 |
| 4 | FC CHELSEA | | | 1-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 0-3 | 4-0 | 0-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 0-2 | | 1-1 | | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 5 | COVENTRY CITY | 0-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-4 | | 2-0 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-3 | 0-4 | 2-0 | 1-1 |
| 6 | CRYSTAL PALACE | 0-3 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 1-2 | 2-0 | 1-6 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-1 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | | | 0-0 |
| 7 | FC EVERTON | 1-1 | 2-2 | 1-2 | | 0-2 | 3-1 | ■ | 4-1 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | | 2-1 | 1-2 | 2-2 | 1-4 | | 0-0 | 1-0 | |
| 8 | IPSWICH TOWN | 0-2 | 0-1 | 1-3 | 2-2 | | 0-2 | | ■ | 2-0 | 4-1 | 1-3 | 1-2 | 3-2 | 0-2 | 1-2 | 0-1 | | 1-2 | 2-1 | 1-3 | | 2-2 |
| 9 | LEEDS UNITED | 1-0 | | | 2-3 | 3-0 | | 1-0 | 4-0 | ■ | 2-1 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | | 1-0 | 4-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 3-1 |
| 10 | LEICESTER CITY | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 2-2 | 0-1 | 2-2 | | 1-3 | ■ | 1-2 | 0-1 | | 1-3 | 1-0 | 2-4 | 1-1 | 0-1 | 4-3 | 3-1 | 1-2 | 3-4 |
| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 0-1 | | ■ | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | | ■ | 0-3 | | 2-0 | 3-3 | | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-0 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | | | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | | 2-0 | 1-1 | | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | ■ | 3-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | | 2-0 | 2-1 |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | | 1-1 | 0-2 | 2-1 | ■ | | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | 1-0 | ■ | 3-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | 3-1 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | ■ | 3-2 | 2-2 | | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | | | 1-1 | 1-0 | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | ■ | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 2-0 | 3-1 | 1-3 | | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | | | ■ | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 0-0 | | 0-1 | 4-2 | | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | ■ | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-0 | | 1-3 | 2-2 | 3-1 | | 0-2 | 2-0 | 1-2 | ■ | |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | | 1-3 | 0-1 | | 1-2 | | ■ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «სარბიელის» ნაკრები ექვსეულის პირველი წრის მიხედვით



დავით თორთლაძე
„კაქტუსი"
5 თამაში, 108 ქულა



ნიკო ჩერქეზიშვილი
„ვითა"
5 თამაში, 61 ქულა



ლევან ქარაბაკი
„დინამო"
4 თამაში, 117 ქულა



ვახტანგ ნაცვლიშვილი
„კაქტუსი"
4 თამაში, 62 ქულა



ვასილ ოთიურიძე
„კაქტუსი"
5 თამაში, 104 ქულა

# ვგრძნობდი, «ვითას» მოვუგებდით

**დინამოელი ლევან ქარაბაკი, „სარბიელის" აზრით, ექვსეულის პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშე იყო. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების 18 წლის კანდიდატს მეორე წრისთვის მზადების პერიოდში ვესაუბრეთ.**

— „ვითასთან" მატჩი თქვენთვის კარიერის თუ არა, სეზონის საუკეთესო ნამდვილად იყო.

— იმ დღეს მართლა კარგად ვითამაშე, ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა. მოედანზე თავისუფლად ვირჯებოდი და თითქმის ყველაფერი გამომდიოდა.

— რატომ „თითქმის".

— მეორე ტაიმის შუაში იყო მონაკვეთი, როცა ცოტათი დავიღალე. სხვა მხრივ [illegible]ის გრძნობა აბსოლუტურად დაკა[illegible] მქონდა. ალბათ ამის გამოც იყო, რომ [illegible] წამივიდა.

— მეტოქედ საქართველოს ჩემპიონი გყავდათ და პირადად თქვენც ძლიერი მოთამაშეები გმეურვეობდნენ...

— მართალია, ძალზე ძნელია თამაში, როცა კოკოლიშვილი, ორმოცაძე და, განსაკუთრებით, ბაქრაძე გიჭერს, მაგრამ მაშინ ჩემი დღე იყო. წინათგრძნობა მქონდა ისეთი, აუცილებლად უნდა მოგვეგო.

— ამას ყველაფერს მოჰყვა უფერული თამაში „კაქტუსთან".

— „კაქტუსთან" მთელი გუნდი, ისევე როგორც მე, გადაღლილი იყო. ჩემს „გადაწვას" ისიც დაემატა, რომ ვახტანგ ნაცვლიშვილმა იდეალურად დამკეტა. ჩვენს დამარცხებაში ვატოს დამსახურება ძალიან დიდი იყო. საერთოდ, ნაცვლიშვილი მეტად ძლიერი მოთამაშეა, ჩემი აზრით, საქართველოში ამჟამად საუკეთესოა.

— თანაგუნდელებიდან ყველაზე მეტად ვისთან გირჩევნიათ თამაში?

— როცა გუნდი სულ 6-7 კალათბურთელით ატარებს შეხვედრებს, პირად არჩევაზე ან მოწონებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. გინდა, არ გინდა, ყველას უნდა შეეწყო. ისე, ამ ბოლო დროს ყველაზე მეტად ირაკლი მაისურაძესთან მიწევს თამაში. თუმცა, ალბათ იმის გამო, რომ მოედანზე ერთ მხარეს ვდგავართ.

— მოახლოვდა ფლეი-ოფი. იქ რა მიზნები გაქვთ?

— ნახევარფინალში გასულები ვართ და იქ ალბათ „ვითას" შევხვდებით. სხვაგვარად არ გამოვა — ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ფინალში გასასვლელად, რასაც შევძლებთ, ყველაფერს გავაკეთებთ. თუ ასეც მოხდა, შემდეგ რა იქნება, წინასწარ ვერ გეტყვით.

— ფლეი-ოფში რამდენიმე მძიმე მატჩის ზედიზედ თამაში მოგიწევთ. არ შიშობთ, იგივე დაგემართოთ, რაც „კაქტუსთან"?

— დღევანდელი ფიზიკური მომზადებით ეს სავსებით შესაძლებელია. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ამ ცოტა ხანში გამძლეობაზე ბევრი უნდა ვიმუშაო.

— თვლით, რომ ფიზმომზადება თქვენი ძირითადი ნაკლია?

— დიახ, როგორც გითხარით, იგი უნდა გავიუმჯობესო. სამწუხაროდ, სეზონი ისე აეწყო, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება ცაიტნოტში მიწევს. თუმცა, არც სათამაშო ელემენტებში მაქვს საქმე მთლად საათივით აწყობილი.

— ნაკრებს ისრაელში ვერ წაყევით, რადგან მწვრთნელებმა ჩათვალეს — ცუდ ფორმაშიაო...

— ისრაელის წინ თბილისში შეკრება რომ დაიწყო, ფორმაში ნამდვილად არ ვიყავი. მერე, ბოლოსკენ, მოუმატე და თავსაც კარგად ვგრძნობდი. ველოდი, რომ ნაკრებში ამიყვანდნენ და დღესაც მგონია, ასეც უნდა მომხდარიყო. თუმცა, ეს ჩემი პირადი აზრია.

— ეროვნულის გარდა, თქვენ ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატიც ხართ და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები იქაც გელით...

— ჩემთვის ორივე გუნდში ყოფნა საპატიოა, მაგრამ ახალგაზრდულის მიმართ უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინო. იქ ხომ მოედანზე უფრო დიდხანს მომიწევს ყოფნა.

— მამათქვენი, წარსულში აგრეთვე თბილისის დინამოელი ზურაბ ქარაბაკი გვერდიდან არ გშორდებათ.

— ეს მისი საკუთარი ინიციატივაა. თავადაც შეამჩნევდით, „დინამოს" არც თამაშს აცდენს და არც ვარჯიშს. ერთი ეგაა, თამაშისას სათადარიგო სკამზე არ ზის. ამასაც ინაზღაურებს — ხშირად ინდივიდუალურად მავარჯიშებს ხოლმე. ასე ინტენსიურად ბოლო ორი წელიწადია მომკიდა ხელი, ადრე ასეთ დიდ ყურადღებას არ მითმობდა. რა ვიცი, შვილი სანამ პატარაა, მშობლები მაშინ უფრო მეტად დასდევენ, ჩემი და მამაჩემის ურთიერთობაში კი პირიქით მოხდა.

მერაბ რატიშვილი



გია ახალაძისა და გიორგი თხინვალელის ფოტოები

### ექვსეულის მეორე წრის განრიგი
სპორტის სასახლე

**ოთხშაბათი, 12 აპრილი**

| | |
|---|---|
| ვითა — მერანი | 12.00 |
| კაქტუსი — აზოტი | 13.30 |
| დინამო — თორსი | 15.00 |

**ხუთშაბათი, 13 აპრილი**

| | |
|---|---|
| თორსი — კაქტუსი | 12:00 |
| მერანი — დინამო | 13.30 |
| აზოტი — ვითა | 15.00 |

**პარასკევი, 14 აპრილი**

| | |
|---|---|
| დინამო — აზოტი | 12.00 |
| თორსი — მერანი | 13.30 |
| კაქტუსი — ვითა | 15.00 |

**შაბათი, 15 აპრილი**

| | |
|---|---|
| აზოტი — თორსი | 12.00 |
| მერანი — კაქტუსი | 13.30 |
| ვითა — დინამო | 15.00 |

**კვირა, 16 აპრილი**

| | |
|---|---|
| მერანი — აზოტი | 12.00 |
| თორსი — ვითა | 13.30 |
| კაქტუსი — დინამო | 15.00 |

## საქართველოს ჩემპიონატი

VII-X ადგილები

ვერის ბაღი

პარასკევი, 7 აპრილი

ქუთაისი — გეორგიკა 87:72

ქუთაისი: დევიძე (25), ბერეკაშვილი (37), გუმბერიძე (3), თურქაძე (13), ქათამაძე (7), სამხარაძე (2)

გეორგიკა: მერკვილაძე (17), ჭეიშვილი (18), ახობაძე (4), ძიძიგური (14), კობიძე (8), ჩაჩხიანი (11)

თსუ — შევარდენი 73:66

თსუ: ლვინიანიძე (4), კაზანჯიანი (8), ნიკოლაძე (10), დოლმაზაშვილი (17), არსიაშვილი (10), ნონელია (24)

შევარდენი: ისაკაძე (2), მაჭავარიანი (24), ინაძე (12), ესიტაშვილი (2), ლვინეფაძე (12), თაბუაშვილი (2), ფიოდოროვი (12)

შაბათი, 8 აპრილი

ქუთაისი — შევარდენი 65:63

ქუთაისი: ახვლედიანი (1), დევიძე (10), ბერეკაშვილი (22), გუმბერიძე (6), თურქაძე (11), ქათამაძე (3), სამხარაძე (12)

შევარდენი: ისაკაძე, მაჭავარიანი (30), სართანია, ინაძე (12), ესიტაშვილი (4), ლვინეფაძე (4), თაბუაშვილი (6), ფიოდოროვი (7)

თსუ — გეორგიკა 78:66

თსუ: მეჭურჭლიშვილი, კაზანჯიანი (13), ნიკოლაძე (11), დოლმაზაშვილი (10), არსიაშვილი (7), ბაბიაშვილი (1), ნონელია (36)

გეორგიკა: გაჩეჩილაძე (6), მერკვილაძე (8), ჭეიშვილი (19), ახობაძე (3), ძიძიგური (19), კობიძე (8), ჩაჩხიანი (2)

კვირა, 9 აპრილი

შევარდენი — გეორგიკა 68:62

შევარდენი: ისაკაძე (17), მაჭავარიანი (13), ინაძე (6), ესიტაშვილი (4), ლვინეფაძე (9), თაბუაშვილი (8), ფიოდოროვი (11).

გეორგიკა: გაჩეჩილაძე (7), მერკვილაძე (11), ჭეიშვილი (24), ახობაძე (3), ძიძიგური (11), ჩაჩხიანი (6).

ქუთაისი — თსუ 93:85

ქუთაისი: ახვლედიანი (2), დევიძე (12), ბერეკაშვილი (41), გუმბერიძე (6), თურქაძე (24), ქათამაძე, სამხარაძე (8).

თსუ: მეჭურჭლიშვილი (2), ლვინიანიძე, კაზანჯიანი (7), ნიკოლაძე (31), დოლმაზაშვილი (2), არსიაშვილი (17), ბაბიაშვილი (2), ნონელია (24)

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 21 | 9 | 12 | 1464-1758 | [illegible] |
| თსუ | 21 | 7 | 14 | 1529-1751 | [illegible] |
| შევარდენი | 21 | 3 | 18 | 1327-1757 | 24 |
| გეორგიკა | 21 | 0 | 21 | 1415-1915 | 21 |

ბომბარდირები
(ქულა, თამაში, საშუალოდ)

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერეკაშვილი (ქუთაისი) | 100 | 3 | 33,3 |
| ნონელია (თსუ) | 84 | 3 | 28,0 |
| მაჭავარიანი (შევარდენი) | 67 | 3 | 22,3 |
| ნიკოლაძე (თსუ) | 52 | 3 | 17,3 |
| თურქაძე (ქუთაისი) | 48 | 3 | 16,0 |
| დევიძე (ქუთაისი) | 47 | 3 | 15,6 |
| ძიძიგური (გეორგიკა) | 44 | 3 | 14,6 |

სამქულიანები

თურქაძე (ქუთაისი) — 9
ინაძე (შევარდენი) — 9
ნონელია (თსუ) — 8
მაჭავარიანი (შევარდენი) — 8
ნიკოლაძე (თსუ) — 7

საჯარიმოები

ნასროლი, ჩაგდებული, %

| | | | |
|---|---|---|---|
| თურქაძე (ქუთაისი) | 11 | 9 | 81,8 |
| ბერეკაშვილი (ქუთაისი) | 39 | 26 | 78,7 |
| ნონელია (თსუ) | 25 | 17 | 68,0 |
| დოლმაზაშვილი (თსუ) | 14 | 9 | 64,2 |
| მაჭავარიანი (შევარდენი) | 10 | 5 | 50,0 |

გამოვიდა მერაბ რატიშვილის მიერ შედგენილი წიგნი „ამერიკული კალათბურთი 1994", რომელშიც უფრო ახლოს გაეცნობით ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას. წიგნის ყიდვა შეგიძლიათ სპორტის სასახლეში, ვერის ბაღში, საგაზეთო ჯიხურებსა და „სარბიელის" რედაქციაში.



## კრივი

# ჯელმა ბებერი დაინდო



„კაცი დაბერდი მუშტების ქნევით. დიდება მოიხვეჭე, ფული კი ვერაფრით დაგიგროვებია. ახლა ისე გაგჭირვებია, რომ ცხოვრებაში გამოსვლიდან 25 წლის თავზე მე, ჯელს უნდა მეჩხუბო სარჩოსათვის!“ — „კი, დავბერდი, 45 წლისაც ვარ და ვჩხუბობ, მაგრამ შენ, ჯელი, ჩემხელა რომ მოიყრები, თუღა გექნება ჩხუბის თავი?“ — ეს დიალოგი თანამედროვე თბილისქალაქელი კინტოების ან „შავების“ მორიგი საქმის გარჩევის ფრაგმენტი არ გეგონოთ. ასე გაეშაირნენ ერთმანეთს კრივის მსოფლიო საბჭოს მძიმეწონოსანი მსოფლიოს ჩემპიონი ოლივერ მაქქოლი (ფოტოზე) და პრეტენდენტი, 45 წლის ექს-ჩემპიონი ლარი ჰოლმსი.

შერკინება 8 აპრილს, გვიან ღამით გაიმართა ლას-ვეგასში. ჩემპიონი 16 ქვასა და 7 გირვანქას (ანუ თითქმის 105 კილოს) იწონიდა, მოცილე — 16 ქვასა და 12 გირვანქას (107 კილოზე ოდნავ მეტს). ბებერმა ჰოლმსმა შეუპოვრად იბრძოლა, მარცხენა ჯებსაც ხშირად ხმარობდა, მაგრამ მაქქოლის სიჭაბუკემ მაინც თავისი გაიტანა. IX რაუნდში ჩემპიონმა ისე დააყუმბარა მეტოქე, რომ რეფერის ჩარევა და ტექნიკური ნოკაუტი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მაქქოლმა მეტოქე დაინდო და ბოლო არ მოუღო. ერთმა მსაჯმა ჩემპიონს გაამარჯვებინა სამი რაუნდით, დანარჩენმა ორმა — თითო რაუნდით.

დამარცხებულმა ჰოლმსმა დაპირება შეასრულა და მესამედა და საბოლოოდ გამოეთხოვა რინგს. მაქქოლმა მორიგ მეტოქედ ბრიტანელი ფრენკ ბრუნო გამოაცხადა. ეს შერკინება ივნისში, ლონდონში გაიმართება, თუკი მანამდე, მაისში, ბრუნო რეი ენისს დაამარცხებს.

მძიმეწონოსანთა ბრძოლას წინ ზემსუბუქწონოსანთა ჩხუბი უძღოდა. მექსიკელთა კერპმა — ხულიო სესარ ჩავესმა გალახა იტალიელი ჯოვანი ფერუცი და საბჭოსეული ტიტული შეინარჩუნა.

## ჩოგბურთი

### წინა კვირა (3-9 IV) პროფესიონალთა ასოციაციების ტურებზე

ქალები. ემილია-აილენდი (ფლორიდა). ფინალში კონჩიტა მარტინესმა (ესპანეთი) 6:1, 6:4 დაამარცხა გაბრიელა საბატინი (არგენტინა), ვისაც ეს ტურნირი მანამდე სამჯერ მოეგო (ორჯერ — შტეფი გრაფის ძლევით). ნახევარფინალში მარტინესმა აჯობა მაგდალენა მალეევას (ბულგარეთი), საბატინიმ — საბინა ჰაკს (გერმანია)

ვაჟები. ეშტორილი (პორტუგალია). ფინალში ავსტრიელმა თომას მუსტერმა (3) აჯობა განუთესელ ალბერტო კოსტას (ესპანეთი) 6:4, 6:2. მუსტერმა წელს მეორე შეჯიბრი მოიგო, კარიერის მანძილზე მის მიერ მოპოვებული 25 ტიტულიდან კი 19 თიხნარზე მოუხვეჭია. ნახევარფინალში მუსტერმა სძლია ემილიო სანჩესს (ესპანეთი) 6:2, 6:4, კოსტამ კი — ფაბრის სანტოროს (საფრანგეთი) 6:1, 6:0. ესპანელი ალბერტო ბერასატეგი (1) პირველსავე წრეში გააგდო მექსიკელმა გვიდო მარკესმა (6:4, 7:5), უკრაინელ ანდრეი მედვედევს (2) კი მეოთხედფინალში კოსტამ მოუგო

### დევისის თასის მსოფლიო ჯგუფი (22 - 24 სექტემბერი)

ნახევარფინალი: აშშ — შვედეთი (ლას-ვეგასში), რუსეთი — გერმანია (მოსკოვში)

საგაისოდ ჯგუფში დასარჩენად ან გადასასვლელად: უნგრეთი — ავსტრალია, მაროკო — საფრანგეთი, ნორვეგია — ბელგია, ინდოეთი — ხორვატია, ჩეხეთი — ზიმბაბვე, ვენესუელა — დანია, მექსიკა — ესპანეთი, ახალი ზელანდია — შვეიცარია

## დოღი

# ბუკმეიკერებმაც ვერ განჭვრიტეს



სენსაციურად დასრულდა მსოფლიოს უძველესი და უპრესტიჟულესი წინაღობებიანი დოღი — ე.წ. დიდი ეროვნული („გრენდ ნეშენალ“), 8 აპრილს ლივერპულში, ეინტრის იპოდრომზე რომ გაიმართა. 60-ათასიანი აუდიტორიის თვალწინ გაიმარჯვა 12 წლის ბედაურმა „როიალ ათლეტმა“, რომელიც ქალს — ჯენი პიტმენს გაეწვრთნა, შეჯიბრის ახალბედას, 24 წლის ირლანდიელ მხედარს — ჯეისონ ტიტლის ეჭენებინა, ბუკმეიკერებს კი მისი შანსები 1:40-ად შეეფასებინათ.

ეინტრის სტიპლ-ჩეისი ურთულესია. ცხენები ოთხნახევარ მილზე, 30 წინაღობაზე ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამჯერად 35 მხედარ-ბედაური შეიკრიბა. მათგან ფინიშს მხოლოდ 15-მა მიაღწია. თავის ქალა მძიმედ დაიშავა „ზიტას ლედერის“ მხედარმა გრემ ბრადლიმ, ვისაც ცხენი მესამე წინაღობაზე წაექცა. იგი მახლობელ საავადმყოფოში გააქანეს. მთავარი დოღის წინა, სადაც დღეებში იქვე „ჯონ ჰიუზის სახსოვარი“ გათამაშდა. ამ შეჯიბრის დროს ოთხი ბედაური დაეცა და მოკვდა, ერთ ჟოკეის მხარი ელრძო, მეორეს კი ტვინი შეერყა.

ბუკმეიკერებს სულ 160 მილიონი გირვანქა შეუვიდათ. ისინი ფავორიტად ასახელებდნენ „მასტერ ოუტსს“ (მხედარი უილიამსონი), ვისაც წელს უკვე მოეგო ჩელტნემის „ოქროს თასი“ და თუ ლივერპულშიც მოიგებდა, პირველად 1934 წლის შემდეგ დუბლს შეასრულებდა. რჩეულის შანსებს ბუკმეიკერები 5:1 აფასებდნენ, 61 წლის წინ კი დუბლი „გოლდენ მილერს“ გაეხერხებინა.

დოღს მშვენიერი დარი შემოესწრო. მიწა სწრაფ ჭენებას უწყობდა ხელს. „როიალ ათლეტი“ მაშინღა დაწინაურდა, ფინიშამდე სამი ღობე რომ რჩებოდა. მან დისტანცია 9 წუთსა და 4 წამში გაირბინა. მეორე ადგილი დაიჭირა 1992 წლის გამარჯვებულმა „პარტი პოლიტიკმა“ (მხედარი მარკ დვაიერი, 16:1), მესამე — „ოვერ ზ დილმა“ (კრის ბონერი, 100:1). „მასტერ ოუტსმა“ საბოლოოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა, გამარჯვებულის მწვრთნელი დედაკაცი კი იცრემლებოდა, 1983 წლის შემდეგ ძლივს ველირსე, ჩემმა ნავარჯიშებმა ცხენმა ლივერპულში ისევ რომ მასახელაო.

**დავით მჭედლიშვილი**
ლონდონიდან

## რაგბი



# მძლეთამძლე ქვინზლენდი

| |
|---|
| **წინა შაბათს, 8 აპრილს** |
| იოჰანესბურგი. „ზე-ათის სერიალის“ ფინალი. ტრანსვაალი (სამხრ. აფრიკა) — ქვინზლენდი (ავსტრალია) 16 (9) (ლ) : 30 (8) (4ლ) |
| დურბანი. ნატალი (სამხრ. აფრიკა) — დას. სამოა 21 (0ლ) :17 (2ლ) |
| ნაინდი. ფიჯი — კანადა 10 (ლ) : 22 (3ლ) |
| ბუქარესტი. რუმინეთი — საფრანგეთი 15 (0ლ) : 24 (2ლ: საჯარიმო, სადურნი) |

შაბათს იოჰანესბურგული საზოგადოებრიობა „ელის პარკს“ ნირწამხდარი დატოვებდა: ავსტრალიელმა სტუმრებმა — ქვინზლენდის „მუქმა წითლებმა“ მათი სათაყვანო „ოქროსფერი ლომები“ პირდაპირ გაანადგურეს და შეინარჩუნეს „ზეათის სერიალის“ თასი, შარშან, ასევე სტუმრად, სამხრეთ აფრიკაშივე, დურბანში რომ მოუგეს იქაურ ნატალს.

ქვინზლენდის პირველი ლელო ქვეყნის ნაკრებ „ვოლაბების“ შუამარბის — ჯეისონ ლითლის გარღვევის შემდეგ გაიტანა შეცვლაზე შესულმა ფრთის მორკინალმა მარკ კონორსმა. მიუხედავად ამისა, 10 ნომრის — იან დებეერის სამი არეკნით ტრანსვაალმა მაინც მოიგო პირველი ნახევარი და ლელოს გატანის შანსებიც ხელიდან გაუშვა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა აიწყვიტეს: ასევე შეცვლაზე შესულმა 9 ნომერმა ბრეტ ჯონსტონმა 58-ე წუთზე სოლო ლელო გაიტანა, 67-ე წუთზე კი 10 ნომერმა პოლ კაჰლმა არეკნით ანგარიში 18:9 გახადა. ავსტრალიელები ამას არ დასჯერდნენ და ჯერ ლითლმა (75-ე წუთზე), მერე კი გარემარბმა დამიენ სმითმა ანგარიში 30:9-მდე აიყვანეს. თამაშისათვის წამატებულ დროში ტრანსვაალი სირცხვილს გადაარჩინა ჰენი ლერუმ, ვინაც ღირსების ლელო გაიტანა.

ამრიგად, ავსტრალიის ნაკრების ნახევარმა — ქვინზლენდმა ერთობ და ისიც მისსავე მოედანზე ერთობ დაიბრიყვა სამხრეთ აფრიკის ბირთვი ტრანსვაალი, რაც ექვსი კვირის თავზე დასაწყებ მსოფლიო თასზე ჩემპიონობის მსურველ მასპინძლებს კარგს არაფერს უქადის.

უელსის ნაკრების ხელმძღვანელობის შეცვლას კაპიტნის გამოცვლაც მოყვა. ახალმა უფროსობამ დაამხო გარემარბი იეუან ევანსი, ვისაც ბოლო ექვსი წლის მანძილზე გუნდისთვის 28-ჯერ ეწინამძღოლა, მის მაგივრად კი შუამარბი მაიკ ჰოლი დააწინაურა, ვინაც წინა ხელმძღვანელობამ ერთი პირობა თხუთმეტეულიდანაც კი ამოაგდო. ამასობაში გამოცხადდა, რომ უელსის ნაკრებს ახალი ასპარეზის ძებნა მოუწევს, რადგან ამ ქვეყნის რაგბის კავშირი 1999 წელს მსოფლიო თასის ფინალის სამასპინძლოდ კარდიფის „არმზ პარკის“ ძირეულ რეკონსტრუქციას აპირებს, ტევადობა 80 ათასამდე რომ გაზარდოს.

რაგბის გაოლიმპიურების შედეგად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) ამ სპორტს იმით შეეწია, რომ მსოფლიო თასისათვის ბლუმფონტეინში მიავლენს ლაბორატორიას, რომელიც დოპინგ-კონტროლს განახორციელებს.

## ფორმულა-1

# «ფერარი» გაცოცხლდა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ერთი შეხედვით კაცს ისიც შეიძლება მოეჩვენოს, თითქოს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ პირი შეკრა მსოფლიოს ჩემპიონის მიხაელ შუმახერის წინააღმდეგ. მართლაც, საერთო ჯამში ხუთი ეტაპით დასჯა, თანაც ნაირგვარი მიზეზით, ერთი მძღოლისთვის გაუგონარი ამბავია. თუ არ გაფრთხილდა, გერმანელი პილოტი იქნებ სულაც ჩამოაშორონ პირველობას და მთელი „ბენეტონიც“ დასაჯონ. ერთი სიტყვით, „შუმის“ ადრინდელ „უმწიკვლო“ რეპუტაციას წყალი შეუდგა და ახლა ნამდვილად ვერაა საჩემპიონო გუნებაზე. მით უფრო, რომ არგენტინის „გრან-პრიზე“ მთლად ვერც მისმა „რენოს“ ძრავიანმა ბედაურმა ივარგა — ჯერ იყო და, შესარჩევ წრეებზე მხოლოდ მესამე დრო აჩვენა, კვირას კი უშუალოდ რბოლაშიც ვერაფრით გამოიჩინა თავი.

კვალიფიკაციაში საუკეთესო, პირველად კარიერაში, უილიამსელი დევიდ კულტჰარდი იყო. 24 წლის შოტლანდიელმა სტარტიც მშვენივრად აიღო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც პირველივე მოსახვევში ჟან ალეზის „ფერარის“ ერთბაშად ორმა წაჰკრა გვერდი, მერე კი კიდევ სამი მანქანა დაზარალდა, რბოლაც შეწყდა. ალეზიმ სხვებთან ერთად ბოქსებისკენ გაჰქუსლა სათადარიგო მანქანაში ჩასაჯდომად.

15 წუთის შემდეგ განმეორებითი სტარტი უფრო მშვიდობიანი გამოვიდა. ეგ იყო, მიკა ჰაკინენის „მაკლარენს“ უკანა საბურავი ნაფლეთებად ექცა. მის გარდა, კიდევ ორნი — კარლ ვენდლინგერი („ზაუბერი“) და ბერტრან გაშო („პასიფიკი“) გამოეთიშნენ რბოლას. წინ ისევ კულტჰარდი გაიჭრა და სანამ შეეძლო, მედგრადაც იბრძოდა, მაგრამ მე-17 წრეზე ძრავმა უმტყუნა. ლიდერობა ალეზიმ იგდო ხელთ, მაგრამ მხოლოდ ათი წრით — საბურავების შესაცვლელად ბოქსებში შესულს მეორე უილიამსელმა დეიმონ ჰილმა ჩამოართვა პირველობა. ეს იყო და ეს. ფინიშამდე მოულოდნელი არაფერი მომხდარა და შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმაც დამაჯერებლად მოიგო რბოლა. ბუენოს-აირესში გამარჯვება 34 წლის ჰილისთვის საიუბილეო მეათე „გრან-პრია“ და ამ მაჩვენებლით ის დაეწია შუმახერსა და გერჰარდ ბერგერს („ფერარი“). ალეზი, რომელიც ისე ჩქარობდა, რომ ბოქსებში შესვლისას კინაღამ გაჭყლიტა თავისი მანქანის მომლოდინე „ბენეტონის“ ერთ-ერთი მექანიკოსი, მეორე იყო, შუმახერმა კი, როგორც მესამემ დაიწყო რბოლა, ასევე დაამთავრა და გამარჯვებულს ბევრით, ლამის ნახევარი წუთით ჩამორჩა.

წინა ეტაპზე გამარჯვებულად გამოცხადებული ბერგერი, მართალია, ამჯერად მხოლოდ მეექვსე მღვიდა ფინიშთან, მაგრამ სწორედ ამ ერთი ქულის წყალობით შეინარჩუნა ერთპიროვნული ლიდერობა. გუნდურშიც ყველაზე წინაა „ფერარი“ — იტალიელთა ეროვნულ სიამაყეს ასე კარგად დიდი ხანია არ დაუწყია ჩემპიონატი.

**გია ახალაძე**

9 აპრილი. არგენტინის „გრან-პრი“. ბუენოს-აირესის ავტოდრომი. წრის სიგრძე 4260 მ; 72 წრე — 306,5 კმ. საუკეთესო წრე — 169,4 კმ-სთ მიხაელ შუმახერი („ბენეტონი“).

1. დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი, „უილიამსი“) — 1 სთ, 53; 14,5 (საშუალო სიჩქარე 162,4 კმ-სთ); 2. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — ჩამორჩა 7 წამით; 3. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი“) — 25 წამით; 4. ჯონი ჰერბერტი (ბრიტანეთი, „ბენეტონი“); 5. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (გერმანია, „ზაუბერი“); 6. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“).

ორი ეტაპის შემდეგ: 1. ბერგერი — 11 ქულა; 2-3. ჰილი და ალეზი — 10; 4. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენი“) — 6; 5. შუმახერი — 4.

კონსტრუქტორები: 1. „ფერარი“ — 21; 2. „უილიამსი“ — 10; 3. „მაკლარენი“ — 9; 4. „ბენეტონი“ — 7; 5-6. „ტირელი“ და „ზაუბერი“ — 2.

## აქეთური, იქითური

წლის პირველ უმთავრეს („მეიჯორ“) საგოლფო შეჯიბრებაზე — „იუ-ეს მასტერსზე“, 6-9 აპრილს ჯორჯიის შტატის ოგასტას ეროვნულმა გოლფ-კლუბმა 59-ედ [illegible] მასპინძლობა, [illegible] შეჯიბრის [illegible]. [illegible] შვიდ ჯერზე ექვსჯერ ჩაეძავათ გამარჯვებულის სარგო [illegible], მაგრამ ამჯერად საუკეთესო ევროპელი „მასტერსის“ შარშანდელი ჩემპიონი, ესპანელი ხოსე-მარია ოლასაბალი გამარჯვებულს მთელი 10 დარტყმით ჩამორჩა. წელს გაიმარჯვა 43 წლის ვეტერანმა, ამერიკელმა ბენ კრენშოუმ, რომლის შედეგი (274) 14-ით უკეთესი აღმოჩნდა ოთხგზის ნორმაზე. ამერიკელ დევის ლავ-მესამის შედეგი 13-ით უკეთესი იყო. გამარჯვებულს 4-ით ჩამორჩნენ ავსტრალიელი გრეგ ნორმანი და ამერიკელი ჯეი ჰაასი, 3-ით — სამხრეთაფრიკელი დევიდ ფროსტი და ავსტრალიელი სტივ ელკინგტონი. შარშანდელი სეზონის ლიდერები: ზიმბაბველი ნიკ პრაისი და სამხრეთაფრიკელი ერნი ელსი ორ წრეს ვერ გასცდნენ. კრენშოუს გამარჯვება ერთობ ამაღელვებელი ყოფილა, ვინაიდან იმავე კვირაში მოძღვარი — ჰარბი პენიკი დაუმარხავს. ბენს მანამდეც — 1984 წელს მოუგია „მასტერსი“.

*

შაბათს ბრიტანეთის პროფესიულმა რაგბის ლიგამ დაადგინა, რომ გაისიდან სეზონი მარტი — ოქტომბრის განრიგით დაგეგმოს, ანუ თამაშები ზამთრის მაგივრად ზაფხულში გამართოს, და თავისი ბობოლა კლუბები ქვეყნის პირველობის ნაცვლად აასპარეზოს სუპერ-ლიგაში, რომელსაც მედიის მაგნატი, ავსტრალიელი რუპერტ მერდოქი აარსებს.

*

53 ათას დოლარს მიითვლიდა ეთიოპი დაგლას ვაკიჰური, ვინაც 9 აპრილს ნამდვილი მარათონი მოიგო. საქმე ისაა, რომ ბერძნებს უაზრიათ და სოფელ მარათონიდან ათენამდე რბენის შეჯიბრი მართლაც გაუმართავთ.

*

ფრანგმა ველომრბოლმა ლორან ჟალაბერმა სეზონის სტარტზე ველარ მოიგო ზედიზედ მეოთხე შეჯიბრებაც. ბასკეთის ხუთდღიან ტურში მას წუთითა და 16 წამით აჯობა შვეიცარიელმა ალექს ზულემ. მესამეც შვეიცარიელი — ტონი რომინგერი იყო.

*

7 აპრილს ლაჰორში მხოლო ტესტ-მატჩი გამართეს ბალახის ჰოკეის მსოფლიო და ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — პაკისტანმა და გერმანიამ. ფრე 1:1.

*

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ნებიოლოს განუცხადებია, რომ ფინანსური კრიზისით მოცული მექსიკის ნაცვლად 1997 წლის მსოფლიო პირველობას უმასპინძლებს ან საბერძნეთი, ან ფინეთი, ან ესპანეთი, ანაც ინდოეთი (?!). აშშ-ის კანდიდატურაც არაა გამორიცხული, საბერძნეთი კი ფავორიტიაო, — უთქვამს ნებიოლოს.


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29